# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბეჭდვის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 1 სექტემბერი. 2018 წ. №172-173 (8573-8574) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru | ფასი 50 თეთრი.


## დივერსია ⑥ ქართული სპორტისა და ქვეყნის მომავლის წინაშე

## ტყიბული ④ უნდა გადავარჩინოთ!

## მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა



კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართოლომეო რუსეთის პატრიარქს სტამბულში შეხვედრის დროს აცნობა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება გადაწყვიტა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში კიევის საპატრიარქოს პრეს-მდივანი ევსტრატე წერს.

**„ჟურნალისტებთან გავიდა მიტროპოლიტი ემანუილი, მან მოკლე განცხადება გააკეთა, რომლის აზრიც შემდეგ ფრაზაში მდგომარეობს: ჩვენ პატრიარქს უკრაინის ეკლესიაში დაყოფის გადალახვისა და ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ვაცნობეთ, რისი იმპლემენტაციაც მოხდება“,** — დაწერა Facebook-ში არქიეპისკოპოსმა ევსტრატემ. მსოფლიო პატრიარქის გადაწყვეტილების შესახებ ბერძნული გამოცემა Orthodoxia.info ცცცცც იუწყება.

# ეგებ დავიოკოთ ემოციები!

## ცხელ გულზე გაკეთებული ჩანაწერები სერგეი შამბას გამოსვლებისა გამო... არა საკამათოდ!

**1. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ყოფილი პრემიერის სერგეი შამბას ბოლოდროინდელმა განცხადებებმა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 აგვისტო, 2018 წ.) იმის თაობაზე, რომ ის ქართველებს არ განიხილავს მტრებად; რომ თუ აფხაზეთმა არ დასძლია პოლიტიკური კრიზისი, შესაძლოა, იძულებული გავხდეთ, ვთხოვოთ მიერთება რუსეთს ან საქართველოსო, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მედიაში.**

**ჩავები ამ ფერხულში იმ მიზნით, რომ მას, ვისაც თანამდებობრივად ჭკუა ეკითხება, აქვს გავლენა და ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება, ეგებ, ოდნავ მაინც გამოადგეს ანალიზისა და ფიქრის დროს, იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა ცხელ გულზე გაკეთებული ეს ჩემეული ჩანაწერები, უსისტემოდ და ჟანრის დარღვევადაც კი მოეჩვენოს. და არა მარტო მას...**

**2. ბატონი სერგეი შამბა** დღეს არ ფლობს ხელისუფლების რეალურ ბერკეტს, მაგრამ მას (და მის ოჯახს) აქვს სერიოზული მორალური ავტორიტეტი და არანაკლები შესაძლებლობები. ის ლიდერი იყო ანტიქართულ რიტორიკაში და... ლიდერია ახლაც, როცა „სხვა“ დრო დადგა... უპრიანია მას, ისევე, როგორც არაერთ სხვას, თანამოაზრეს თუ მის კრიტიკოსს, მოვუსმინოთ დინჯად და აუღელვებლად... ყური ვუგდოთ და გავაანალიზოთ, თუ რას ამბობენ, რას მოუწოდებენ, რა მიზანს ახმოვანებენ ისინი.

ზომიერი ეჭვიანობა ურიგო არ არის, მაგრამ არ ვარგა, როცა ყველას, უკლებლივ ყველას, განურჩევლად ვაწებებთ „იარლიყს“ აგენტისას, სხვისი (უწინარესად, ჩრდილოელის) მოსაზრება-სურვილების გამხმოვანებლისა. ნურც იქ და ნურც აქ! ბატონი შამბას მოსაზრებები, უწინარესად „შიდა მოხმარებისთვის“ არის განკუთვნილი, მაგრამ არც უმისობაა, რომ მისამართი აღმოსავლეთ თუ ჩრდილოეთისკენაც იყოს მინიშნებული.

ეგებ მეტი სიდინჯით, ფიქრით, გულწრფელობით გავაანალიზოთ, გავიაზროთ, ვივარაუდოთ გათვლები... შევეცადოთ, გავუგოთ მას, იმათაც, ვინც იზიარებს ს.შამბას პოზიციებს და მოვინდომოთ, ერთად(!!!) მივუახლოვდეთ სასაუბრო(!!!) მაგიდას...

ნურასოდეს დაგვავიწყდება, რომ ყველა ომს, უკლებლივ ყველა და ყოველნაირ დაპირისპირებას წერტილი ესმება მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან, რომელსაც ორივე მხრიდან, სასურველია, უსხდნენ შედეგის მსურველი, ნორმალური ფსიქიკისა და ინტელექტის მქონე, პასუხისმგებლობის გრძნობით შეიარაღებული და მოწინააღმდეგის შესაძლებლობების გამგებ-გამთვალისწინებელი, სახელმწიფო აზროვნების მქონე, პატრიოტი ადამიანები.




მთავარი თემა - აფხაზეთი

აგერ, ცინცხალი მაგალითი: ორიოდე დღის წინ სერბეთისა და კოსოვოს პრეზიდენტებმა — დაუძინებელმა მტრებმა, მაინც მოახერხეს შეხვედრა და მიაღწიეს შეთანხმებას ყველაზე პრინციპულ საკითხებზე: https://www.bloomberg.com/.../serbia-and-kosovo-talks-could-l...

**3. კონფლიქტი** აფხაზეთში — ზოგადად და კონკრეტულად-აფხაზურ — ქართულ ურთიერთობის პრაქტიკა და ნებისმიერი საუბარი ითხოვს მეტისმეტად დიდ(!!!) სიფაქიზეს(!!!!) და არა გულზე ურაპატრიოტულ ხელის ბრაგუნსა და მყვირალა რიტორიკას.

**4. თავის** დროზე (1980-იან წლებში) კოლექტიურმა „მავანმა“ (იდეოლოგიური „ბარიკადების“ ორივე მხარეზე მყოფმა) არ შეისმინა გონივრული რჩევები, ნამეტანი იხმაურა და, გაუწონასწორებელი რიტორიკა — ლოზუნგებით, ულტიმატუმებით თუ მოწოდებებით, აჟიტირებული აქციებით, ცეცხლი შეუნთო კონფლიქტს, მის გაღვივებას. ამ გზით, იქაური თუ აქაური არაერთი ფსევდო — „მოღვაწე“ ცდილობდა ეროვნული მანტიის მოსხმას. შედეგად მივიღეთ ის... რაც მივიღეთ!!!

**5. საქართველოს** ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან პოლიტიკურ სიბეცესა და ადამიანურ უტვინობაზე მეტი იყო ომის გაჩაღება აფხაზეთში. არადა, მხოლოდ სიბრძნე(!!!) და, თანაც, დიდი სიბრძნე ჭირდებოდა მის თავიდან აცილებას. იგივე ითქმის, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით (თუმც, პროვოკაციაზე წამოგებული შეიარაღებული კონფლიქტი ცალკე თემაა).

**6. ბოლო** 30 წლის მანძილზე მოქმედმა ყველა ხელისუფლებამ, ჯ.პატიაშვილით დაწყებული (რომლის წევრიც რამდენიმე თვით თავადაც გახლდით) გ.კვირიკაშვილით დამთავრებული დაუშვა და ახლაც, ინერციით უშვებს ერთი და იგივე შეცდომას: არ ითვალისწინებს „დაპირისპირებული“ მხარის(მხარეების) ინტერესებს. ამას ცალ კარში თამაში ქვია, ანუ... თავშივე განწირული, უშედეგო... ეს კლასიკაა!

**7. დროა,** ქართველთა დიდი ნაწილი გავთავისუფლდეთ იმ ილუზიისგან, რომ კონფლიქტის განეიტრალების უნივერსალური გასაღები აქვთ ვაშინგტონში. არავითარი გასაღები ამერიკელებს არ დაუსაკუთრებიათ. ამერიკის დიპლომატიას შეუძლია და უნდა ვთხოვოთ კიდეც მხარდაჭერა და ხელშეწყობა დიალოგის წამოწყებასა და შედეგიან დაგვირგვინებაში, ოღონდ, ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცედ დარწმუნებული, რომ ეს დახმარება უმეტესწილად მაინც განპირობებული იქნება საქართველოს ინტერესების დაცვით და არა დიდ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური გათვლებით. სამწუხაროდ, წარსულის პრაქტიკა (მასში ჩართულობის გამოცდილება) მაიძულებს, მუდამ მახსოვდეს ეს რეალობა. ისევე, როგორც ყველაზე მთავარი, გადამწყვეტი ფორმულა: ურთიერთმორიგება, ურთიერთშეთანხმება არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველების და აფხაზების თავსატკივარი.

იმის გათვალისწინებით, რომ „სამკლიტულის“ ორი ძირითადი გასაღები თბილისისა და სოხუმის ხელშია. აი, ის მესამე(!) დამხმარე (და არანაკლებ გადამწყვეტი) „ინსტრუმენტი“ დევს მოსკოვში. და როცა თბილისი და სოხუმი მოილაპარაკებენ (მათი და რუსეთის ინტერესების სერიოზული გათვალისწინებით), მესამე გასაღების დაუფლება არ გაძნელდება. აი, ამ შედეგის მიღწევაში უნდა ვთხოვოთ ვაშინგტონს გულწრფელი(!!!) დახმარება.


იხ. 3 გვ.


## 100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

**დემოკრატიულ** საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „**საქართველოს რესპუბლიკას**“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB76015360-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

# დავით უსუფაშვილი ნამდვილად ხუმრობს!



**პრეზიდენტობის კანდიდატი დავით უსუფაშვილი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის იმ გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.** უსუფაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანას არა აქვს იმ ფუფუნების საშუალება, რომ ექსპრეზიდენტები თუ ექსპრემიერები კერძო ცხოვრებაში იკეტებოდნენ.

**„ვისურვებდი, რომ ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამს რაც შეიძლება მეტი გამოცდილი ადამიანი იყოს სახელმწიფოს სამსახურში აქტიურად ჩაბმული. გიორგი მარგველაშვილმა გადაწყვიტა არასაარჩევნო-არაპოლიტიკური გზით გააგრძელოს ეს სამსახური, რაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. თუმცა, ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანას არა აქვს იმ ფუფუნების საშუალება, რომ ექსპრეზიდენტები თუ ექსპრემიერები კერძო ცხოვრებაში იკეტებოდნენ (ან კიდევ უარესი...).**

**ქვეყანას სჭირდება მოქალაქეობრივად აქტიური ავტორიტეტული ადამიანები სკამების და თანამდებობების გარეშე. სკამის და თანამდებობის ავტორიტეტი შარშანდელ თოვლზე უფრო სწრაფად წარმავალია, ჩვენ კი მარადიულ ღირებულებაზე — ქართულ სახელმწიფოზე და სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე ვსაუბრობთ“,** — აცხადებს დავით უსუფაშვილი.

გიორგი მარგველაშვილის სახელმწიფო სამსახურში ისევ აქტიურობა როგორ წარმოგიდგენიათ ამხანაგო დავით?!

# 5 სექტემბერს კომისია საბოლოო დასკვნას მიიღებს!



**მუშაობის გრაფიკი იქნება ფორსირებული, რადგან საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია წარმოდგენილი. სხდომები დაიწყება ხვალ და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე,** — განაცხადა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ სერგი კაპანაძემ. მისივე განმარტებით, ხვალიდან კომისიის სხდომები საჯარო იქნება. **„5 სექტემბერს პროექტს ვუყრით კენჭს. ამის შემდეგ მომდევნო პლენარულ სხდომაზე მოხდება დასკვნის წარდგენა“,** — დასძინა კაპანაძემ.

დეპუტატის თქმით, „ევროპული საქართველოს“ მიერ წარდგენილი პროექტი ეყრდნობა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც გამოვლინდა კომისიის სხდომების და მასალების შესწავლის დროს.

# მთავარ პროკურატურაში რეორგანიზაცია დაიწყო

საქართველოს მთავარ პროკურატურაში რეორგანიზაცია გამოცხადდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, უწყება ინფორმაციას ავრცელებს. **„მთავარი პროკურორის შალვა თადუმაძის გადაწყვეტილებით, პირველ რიგში ცვლილებები შეეხება მთავარი პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებშიც დასაქმებულები არიან საჯარო მოხელეები, ასევე განხორციელდება სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პროკურორების ატესტაცია და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა. პირველ ეტაპზე რეორგანიზაცია შეეხება: ყველა ოლქის პროკურორს და მათ მოადგილეებს, რაიონის პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორებს და მათ მოადგილეებს, ასევე მთავარი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და მოადგილეებს. შალვა თადუმაძის გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციის პროცესს უხელმძღვანელებს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც ატესტაციას, მრავალკომპონენტიან შეფასებასა და მთავარ პროკურორთან გასაუბრების ორგანიზებას უზრუნველყოფს.**



**რეორგანიზაციის დასრულებამდე პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პირებისათვის შეჩერდება დანამატებისა და პრემიების გაცემა. საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე რეორგანიზაცია ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ეფექტური მმართველობის შექმნას ემსახურება“,** — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ ხალხს, რადგან გამორჩეული მხარდაჭერა მქონდა პრეზიდენტობის 5 წლის განმავლობაში

პრეზიდენტ მარგველაშვილის თქმით, ის რჩება ქართველი საზოგადოების სამსახურში ისე, როგორც მანამდე იყო.



**„მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ოჯახს, რომელმაც ამ 5 წლის განმავლობაში ძალიან რთული პერიოდი გამოიარა და არც ერთხელ ამის გამო ჩემთვის არ შეუქმნია პრობლემა და დისკომფორტი. დღეს მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს გუნდს, რომელიც ამ იდეალებს ემსახურებოდა 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ხალხს და ქართველ საზოგადოებას, იმიტომ რომ გამორჩეული მხარდაჭერა მქონდა მე ამ პერიოდის განმავლობაში. დამიჯერეთ, ძალიან ცოტა ქვეყანა მოიძებნება, სადაც მთელი პოლიტიკური ელიტა დაპირისპირებულია ერთ ადამიანთან და ყველა მანქანას ხმარობს, რათა მისი დისკრედიტაცია მოახდინოს, ყველა მანქანას ხმარობს იმისთვის, რომ შეარყიოს მისი მმართველობა და ამ რთულ მომენტებში არა მასმედიით, არა გამოჩენილი თუ გამოუჩენელი, აზრის შემქმნელი ადამიანებისგან, არამედ მაშინ, როცა მე გავივლიდი დუშეთის ქუჩაში, მაშინ, როცა მე გავივლიდი თბილისის ქუჩაში, მთავარი ბარომეტრი მქონდა ის, როგორ მხვდებოდა ხალხი და ამის განცდა მე მუდმივად მამყოფებდა იმის დარწმუნებულობაში, რომ მე სწორი გზით მივდივარ თქვენთან ერთად და ამ გზას მე თქვენთან ერთად გავაგრძელებ. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ქართველ საზოგადოებას, მე ვრჩები თქვენს სამსახურში, ისევე როგორც მანამდე ვიყავი“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ცნობისთვის, გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

**საინტერესოა, თუ ამდენ მხარდაჭერასა და სიყვარულს გრძნობდა ხალხისგან (რაშიც ეჭვი გვეპარება), რატომ არ აპირებს პრეზიდენტად კვლავ იყაროს კენჭი?**

# სად და ვინ გააქრო ნიტრატმზომები?

## ნიტრატზომები გააუქმეს იმ კორუფციული სისტემის კარნახით, რომლითაც იკვებებოდა ზოგიერთი ჩინოვნიკი

**საქართველოში მომხმარებლის უფლებები რომ დაუცველია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ საინტერესოა, რატომ არის განიარაღებული ჩვენი მომხმარებელი და რატომ არ შეუძლია თავის დაცვა პროდუქციის შესამოწმებელი უბრალო აპარატით, როგორც ეს უცხოეთშია აპრობირებული?!**

საუბარია ნიტრატმზომებზე, რომელიც ევროპაში მიღებული პრაქტიკაა. უცხოელ მომხმარებელს არავინ უკრძალავს ამ მეთოდით პროდუქციის ხარისხის შემოწმებას. სამაგიეროდ, საქართველოში იმის წარმოდგენაც რთულია, რა ბედი ელის ნიტრატმზომით აღჭურვილ მომხმარებელს, რომელსაც გამყიდველები ველური მეთოდებით უსწორდებიან.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ეთიკის“ ხელმძღვანელი ამირან შენგელია ამბობს, რომ ნიტრატმზომების გამოყენება მომხმარებლის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა და სასურველია, ის ქართველ მომხმარებლებსაც გააჩნდეთ.

**— ერთმა ადამიანმა დამირეკა, რატომ არ იყიდება ნიტრატმზომებიო, რაც ევროპაში მიღებული პრაქტიკაა. ევროპაში დიდი მარკერისნაირი ფორმის ნიტრატმზომი ყველას ჯიბეში უდევს, ჩაარჭობს პროდუქციას და ისიც უჩვენებს, პროდუქტი კარგია, თუ ცუდი. სხვათა შორის, უცხოელი ფერმერებიც ამ მეთოდით ამოწმებენ საკუთარი პროდუქციის ვარგისიანობას. ჩვენთან ერთხელ შემოიტანეს ნიტრატმზომები იმ განზრახვით, იქნებ, ფერმერებმა იყიდონ და გაზომონ თავიანთ პროდუქციაში ნიტრატების შემადგენლობა, მაგრამ ერთ-ერთმა ფერმერმა დაუფარავად მითხრა, ამ აპარატს არ ვყიდულობ, რადგან ფერმერმა რომ გაზომოს თავისი პროდუქცია და ნიტრატები მეტი იყოს, განა არ გაყიდის საკუთარ პროდუქციასო? მართლაც ასეა, ჩვენი ფერმერები მაინც გაყიდიან უხარისხო პროდუქციას,** — ამბობს ამირან შენგელიამ.

მისივე განმარტებით, ნიტრატმზომის ღირებულება სადღაც 200-300 ლარის ფარგლებშია. არის უფრო პროფესიონალური ნიტრატმზომებიც, 380 დოლარის ფარგლებში, მაგრამ საქართველოში პრობლემაა ის, რომ გამყიდველები არ გაგაზომინებენ თავიანთ ნედლეულში ნიტრატების დონეს. მათ ხომ ყველაზე უკეთ იციან, რა ნაკლიც აქვს მათ პროდუქტს. პრობლემაა ისიც, რომ, თუკი იყიდი პროდუქტს და ნიტრატმზომით გაზომავ, გამყიდველი უკან აღარ დაიბრუნებს, რადგან პროდუქტს რომ უჩხვლეტ, მასზე 3-მილიმეტრიანი ნახვრეტი კეთდება.




**„სასურველია, ყველას ჰქონდეს ნიტრატმზომი. ჩვენს ნებისმიერ ბაზარში ვერ იპოვით პროდუქტს, რომელსაც ნიტრატი არ ჰქონდეს, უბრალოდ, აქ საუბარია მეტ-ნაკლებობაზე. ეს იმისთვის კეთდება, რომ ერთ პატარა მიწის ნაკვეთზე რაც შეიძლება, მეტი პროდუქცია მოუვიდეთ. შესაძლოა, ვიღაცამ იფიქროს, რომ გამოსავალი შხამ-ქიმიკატების გაძვირებაშია, მაგრამ გამყიდველები მაშინაც ნახავენ გამოსავალს და პროდუქტს გააძვირებენ“.**

„ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ამ რამდენიმე წლის წინ შესაბამისი დადგენილებით ნიტრატმზომები ამოიღეს ხმარებიდან. ეს ის პერიოდი იყო, როცა პროდუქციის მავნებლობის შესახებ საგანგაშო მონაცემები ფიქსირდებოდა, ბევრი მომხმარებელი განათლდა იმ კუთხით, რომ უხარისხო პროდუქცია აღარ უნდა ეყიდა, ამიტომაც ბაზარში ნიტრატმზომებით აღჭურვილები მიდიოდნენ და ნიტრატმზომების შემოტანაც დაიწყო რომელიღაც კომპანიამ საქართველოში, რადგან ამ აპარატზე დიდი მოთხოვნილება იყო. მომხმარებელს შეეძლო, ჩაერჭო და იქვე ადგილზე შეემოწმებინა პროდუქციის ხარისხიანობა.

**„ნიტრატმზომები აჩვენებდა, რომ მდგომარეობა საგანგაშო იყო, ამიტომ ბაზარში მხოლოდ ერთეულ ადგილებზე ხდებოდა შედარებით ვარგისიანი პროდუქტების შესყიდვა. ეს სტატისტიკა როდესაც დაიდო და შესაბამისი სამსახურები როცა დარწმუნდნენ, რომ სიტუაცია ახლო მომავალში აფეთქდებოდა, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკუთარი დადგენილებით ნიტრატმზომები საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან. მომხმარებელს არ უნდა ენახა, რა საწამლავს მიირთმევდა თავად, თავის ოჯახის წევრებთან ერთად. ნიტრატმზომების გაუქმება მოხდა იმ კორუფციული სისტემის კარნახით, რომლითაც იკვებებოდა ზოგიერთი ჩვენი ჩინოვნიკი“,** — აცხადებს გიორგი ბურჯანაძე და აინტერესებს, როდესაც კილოგრამიან კარტოფილს წავაწყდებით ბაზარში, განა ეს ნორმალურია?!

მისივე თქმით, ყველას გვახსოვს ჩვენი პატარაობა, უფროსი თაობის ადამიანებს მაინც უნახავთ სოფელი და კარგად იციან, რომ ბებია-ბაბუებთან ერთად როცა გავდიოდით ბოსტანში, მაქსიმუმ, სტაფილო უნდა ყოფილიყო დაახლოებით ერთი მტკაველის ხელა. ახლა კი 30-სანტიმეტრიანი დახეთქილი სტაფილოები იყიდება. ასეთი ზომის საკვები პროდუქტები, ხილ-ბოსტნეული სწორედ იმ ქიმიური დანამატების შედეგია, რომელიც უზომოდ ზრდის პროდუქციას და მასში სასარგებლო არაფერია. პირიქით, მავნებელიცაა. სტაფილოში ნიტრატის შემცველობის გამომჟღავნების ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ნახეთქები უჩნდება ამ პროდუქტს.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გიორგი ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ უნდა აღდგეს ნიტრატმზომი, მაგრამ, თუ ბაზარში წასულს გამყიდველი არ დაგრთავთ უფლებას, მის პროდუქციაში ჩაარჭოთ ნიტრატმზომი, მაშინ პრობლემა ძალიან მარტივად გადაწყდება. კანონი არ გვიკრძალავს და შეგვიძლია, ერთი კილოს ნაცვლად, მხოლოდ ერთი ცალი სტაფილო ან კარტოფილი შევიძინოთ. სუპერმარკეტში სულაც ორ სტაფილოს ყიდულობს ხალხი და საზღვარგარეთაც თითო კარტოფილის შეძენა არავის უკვირს. პანიკა რომ არ გამოვიწვიოთ, ავიღებთ ერთ ცალ სტაფილოს, გამოვალთ გარეთ, ჩავარჭობთ ნიტრატმზომს შიგნით და გადავწყვეტთ, უკან დავბრუნდეთ და დამატებით კიდევ შევიძინოთ აღნიშნული პროდუქცია, თუ აღარ ვიყიდოთ.

**მანანა ნოზაძე**

# ეგებ დავიოკოთ ემოციები!!!



## ცხელ გულზე გაკეთებული ჩანაწერები. სერგეი შამბას გამოსვლებისა გამო... არა საკამათოდ!

(პირველი გვერდიდან)

**8. სამწუხაროა,** რომ ქვეყნის უახლეს „ისტორიას“, ყოველი მორიგი არჩევნების შემდეგ, სუფთა ფურცლიდან იწყებენ ახლადმოვლენილი „ხელისუფალნი“, ისე, რომ საფუძვლიანად არ სწავლობენ წინა თაობების, წინამორბედების პრაქტიკას, გამოცდილებას.

ამთავითვე დაბეჯითებით ვაცხადებ: მხოლოდ უცხო პლანეტიდან გუშინ ჩამოსულ მავანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მე ახალგაზრდა კადრების დაწინაურების წინააღმდეგი ვარ, ანუ იმისი, რასაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დიდი მონდომებით ვაკეთებდი. სხვათა შორის, არც ინგლისურის... მით უმეტეს, არც კომპიუტერისა და ინტერნეტის... მაგრამ, ახალგაზრდასაც გააჩნია...

ერთხელ საჯაროდ ვთქვი, ახლაც ვიტყვი და მომავალშიც გავიმეორებ: ჩემს პროტესტს იწვევს ვითარება, როცა ვინმე „ქათამაძე-ჭუჭულაშვილები“, აგდებულად, ცინიკურადაც კი ახსენებენ, უდგებიან იმ ისტორიულ, მრავალწლიან ოფლის ღვრას, რაც ჩვენი, პატარა ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ თაობებს მოუწია გეოპოლიტიკური მონსტრების წინააღმდეგ დიპლომატიურ თუ სხვა ხასიათის პაექრობაში, მაშინ, როცა ზოგიერთი ღლაპი დაბადებულიც კი არ იყო...

ახლა, როცა ვაკვირდები პრეზიდენტის „ავადსახსენებელ“ რეზიდენციაში, ან – პარლამენტში, თუნდაც, ახალი პრემიერის საერთაშორისო შეხვედრების თაობაზე ტელესიუჟეტებს, ცოტა არ იყოს გაოცებული ვუცქერ იმ ტიპებს (ზოგიერთი სულ ახალი გამოსული რომ არის თინეიჯერის ასაკიდან), ვინც ქვეყნის ლიდერებს გვერდს უმშვენებს მრჩევლისა თუ თანაშემწის რანგში. რაღაც, მეჩვენება, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე პირტიტველა მსახიობების მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ სპექტაკლს ვუცქერ...

და მიუხედავად იმისა, რომ ხელი მიგვიწვდება მათ ანკეტურ, ცოტა არ იყოს, არცთუ სახარბიელო მონაცემებზე, მაინც ვეძებ პასუხს შეკითხვებზე: ვინ არიან „ამ“ წარსულის მქონე ვუნდერკინდები, საიდან მოვიდნენ, რა გამოცდილება აქვთ, რა სპეციალური განათლება, რა შედეგები? დავიჯერო, გვიშველის კი მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. დასავლური დიპლომები, ინგლისურად სხაპასხუპით ლაპარაკის უნარი და ამა თუ იმ კომპიუტერული პროგრამების ათვისება იმ „კვანძის“ გახსნაში, რომლისთვისაც საჭიროა სწორედ ამ კონფლიქტთან დაკავშირებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური თუ კიდევ სხვა მრავალი „რამის“ ცოდნა, რომელსაც ვერც ჰარვარდი, კემბრიჯი, იტონი, ჯორჯთაუნი თუ სხვა უნივერსიტეტი მოგცემს...

ჩემ ცხოვრებაში არ დამავიწყდება აფხაზების მაშინდელი ლიდერის მიხეილ ბღაჟბას და მისი ქართველი პარტნიორისა და კოლეგის დამიანე გოგოხიას სიბრძნემ, გაბედულებამ და ურთიერთერთგულებამ როგორ გადაარჩინა ჩვენი ხალხი მზაკვარი ნიკიტა ხრუშჩოვის პროვოკაციას, რომლის საბოლოო მიზანი ის იყო... რაც, სამწუხაროდ, ახლა ხდება.

სხვათა შორის, არც ბღაჟბამ და არც გოგოხიამ, ისევე, როგორც მათი თანამოაზრეების ვეებერთელა ჯგუფმა არ იცოდა კომპიუტერი რა იყო, არც ინგლისური... სამაგიეროდ ყველამ იცოდა ქართული, აფხაზური და მეგრული, ანუ ჩვენი ურთიერთსიყვარულის და ძმობის ენები.

**9. აფხაზეთში** კონფლიქტს და აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს დიახაც აკლია სწორედ ასეთი გამოცდილი, პრობლემაში ღრმად ჩახედული ადამიანების თვალთახედვა და პრაქტიკა. უფრო მეტიც, უნდა გავიკითხო: ახლა, მთელ აფხაზეთის დევნილ მთავრობაში, მის სტრუქტურებში რამდენმა პერსონამ იცის აფხაზური ენა? რამდენი ადამიანი უსმენს აფხაზურ რადიოს, უცქერს აფხაზურ ტელევიზიას, აანალიზებს აფხაზურ პრესას?

შედეგი უტყუარად ვიცი. ჰოდა, ამის შემდეგ რა ეფექტიან დიალოგსა და რა ურთიერთგაგებაზეა ლაპარაკი?!

სწორედ ამიტომ მიპყრობს ზოგჯერ შიში, რომელიც უფრო გამძლიერდა მერკელის ვიზიტის შემდეგ, როცა საინფორმაციო მასალებში ჭარბობდა უზომოდ გადაჭარბებული „ტაში-ტუში“ გარეგნულ „პროტოკოლურ“ ეფექტებზე და არა შინაარსობრივ მხარეზე.

გერმანელი ლიდერის გაცილების ჟამს წითელი ხალიჩის „გაქრობაზე“ არაჯანსაღმა, პროვინციულმა ვიშვიშმა ხომ სულ გადარია საზოგადოება. ამას დაემატა პარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავკაცის გადაჭარბებული კომენტარი, რომელსაც ცაში აყავდა პრემიერის პროტოკოლზე პასუხისმგებელი თანაშემწის „სიბრძნე“, რამაც, ერთი მხრივ, გარანტია მისცა მას, რომ აუცილებლად დაპატიჟებენ მომავალ სამთავრობო ბანკეტებზე და, მეორე მხრივ, მოგვეხმარა იმის გაგებაში, თუ რატომ არის ასეთი სერიოზული „გარღვევა“... ვაზელინის „დეფიციტში“.

არადა, გვაქვს ისეთი სერიოზული მაგალითები, საიდანაც ღირს სწავლა: შევარდნაძის, ანუ „თეთრი მელას“ (არაკნინობითი სახელი, ამჯერად) „ლერწამივით“ მოქნილი იძულებითი პოლიტიკის (ანუ დიპლომატიური „თამაშის“) ყველაზე ხელშესახები შედეგი იყო ის, რომ არც ელცინი და არც პუტინი, ღიად, საჯაროდ, არც ერთხელ(!!!) არ გასულან საერთაშორისო-სამართლებლივი სივრციდან და, როგორც წესი, იძულებულნი იყვნენ, ეღიარებინათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ვიმეორებ: გარკვეულ „დუღილის წერტილამდე“ არ ყოფილა არც ერთი(!!!) საპირისპირო განცხადება. (პრაქტიკაზე არ ვამახვილებ ახლა ყურადღებას). ანუ, ეს იყო იმ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი პროგრამა-მინიმუმი: შეგვენარჩუნებინა პოლიტიკური დიალოგის დაწყების საფუძველთა საფუძველი ნებისმიერ საჭირო მომენტში. ისევე, როგორც საშუალება „გაყინული კონფლიქტის“ გაცოცხლებისა, ანუ მომავალ თაობებს უნდა ქონოდათ მანევრირების საშუალება.

მერე?..

ახლა?..

**10. ტერიტორიული** მთლიანობის პრინციპის პუტინისტურ გათელვას ხელი მარტო გეოპოლიტიკური ვითარების გამწვავებამ და „კოსოვოს სინდრომა“ კი არ შეუწყო, არამედ, ჩვენი ხელისუფლების „საყმაწვილო სენმა“ და საზოგადოების მცირე(!), მაგრამ მყივანა ხმის მქონე ნაწილის მამლაყინწური, ურაპატრიოტული და რევანშისტული ბაცილით დაავადებამ, გარკვეულმა ინტელექტუალურმა ზერელობამ, ინერტულობამ. და ეს ახლაც ვინმეს უკვირს?

**„მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პრინციპით კოდორზე გალაშქრებამ, მისთვის „ზემო აფხაზეთის“ სახელის დარქმევამ, შემდგომ კი ხეობიდან სამარცხვინო გამოძევებამ, შექმნა იდეოლოგიური საფუძველი, რის შედეგადაც აფხაზებს მიეცათ მორალური(!!!) უფლება (და მათ შედეგიანად გამოიყენეს ეს შანსი), გამოეცხადებინათ ხეობა თავიანთ საკუთრებად. ამ პოლიტიკურმა და სამხედრო ავანტიურამ, გადაზრდილმა პოლიტიკურ იდიოტიზმში, დიამეტრულად, პრაქტიკულად – მთლიანად შეცვალა რეალობა და იურიდიულთან ერთად დააკნინა ჩვენი მორალური შესაძლებლობანი.**

**აი, რა მოიტანა პრობლემის არსის და ისტორიის, კოდორის ხეობის გმირი მოსახლეობის (მათ შორის „მონადირის“ წევრების) და აფხაზების ურთიერთობის დაუწერელი კანონების უცოდინრობამ და გაუთვალისწინებლობამ. გამოუცდელობამ, ცხვირაწეულობამ და ამპარტავნობამ.**

დღესდღეობით, მომავალშიც ვართ კი დაზღვეული ასეთი საბედისწერო დამღუპველი ნაბიჯებისგან?

**11. ცხელ გულზე** დაწერილი ამ ფრაგმენტული, ზოგჯერ ლოგიკას აცდენილი, არასრული მოსაზრებების „გამოყრა“ მაიძულა იმ კომენტარებმა, ზოგჯერ – ღიმილის მომგვრელმა და მიამიტმა, ზოგჯერ კი – აბსოლუტურად მიუღებელმა და უტაქტომ, რომლებიც მოჰყვა აფხაზი პოლიტიკოსის სერგეი შამბას ამასწინანდელ განცხადებას და, სავარაუდოდ, გაგრძელდება კიდეც უხერხულობამდე მისული აჟიოტაჟი ამ მორიგ გამოსვლასთან დაკავშირებითაც.

განსაკუთრებით, მაღიზიანებს პოლიტიკური სიბეცის და იდიოტიზმის კლასიკური შეძახილები: „აბა, რა ეგონათ?“, „რაო, მოდიხართ ხოხვით?“, „აფხაზეთი მალე ჩვენი იქნებ!!!“ და სხვ.

ჰოდა, მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ არა მგონია სერიოზულ, დაკვირვებულ ადამიანებს დავიწყებოდათ სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურების ხელმძღვანელთა პოლიტიკური კრეტინიზმი, ბაქიბუქი მაშინდელი პოლიტიკური ინკუბატორიდან მოულოდნელად გამოჩეკილი „მარშლებისა“ , რომლებსაც ერთი საათითაც კი არ მოუხდიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ისევე, როგორც ძნელად დასავიწყებელია სოფელ უდეს და სოფელ ტყვიავის სახელგანთქმული „სამხედრო აკადემიების“ წარჩინებულ კურსდამთავრებულთა სტრატეგიული გენია, მხედართმთავრული ამბიციები და მოწინააღმდეგეთა „ფეკალური მისწრაფებების“ საეჭვოდ ღრმა ცოდნა, რამაც განაპირობა წინააღმდეგობის სიმბოლოს – ნორა კვიციანის „ციხე-სიმაგრედ“ გადაქცეული უბრალო სოფლური სახლ-კარის, ანუ, იქაური „რაიხსტაგის“ თავზე წითელჯვრიანი დროშის აფრიალება...

და როცა ყოველივე ამას ვაანალიზებთ იმ თავშეუკავებელი და მეტისმეტად ზერელე, ურაპატრიოტული კომენტარების ფონზე, რომლითაც სავსეა ბოლოდროინდელი მედია, უნებლიეთ მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ არ გამოგვადგა გაკვეთილად წარსული შეცდომები.

სამწუხაროა ეს! დიდად!

**12. 13. ამ ფონზე,** არავინ, არც ერთმა მხარემ არ უნდა დაივიწყოს ის სავალალო მოვლენა, რომ უკვე არაერთი ათეული წელია, რაც ენგურს გაღმა თუ გამოღმა თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან ერთმანეთის სიძულვილის დამნერგავი აღვირახსნილი პროპაგანდის გავლენით; რომ ამ ზიზღის, ერთმანეთის მიუღებლობის დაუფარავი სულისკვეთების გაქრობას ჭირდება არცთუ ცოტა დრო, არცთუ ერთი და ორი თაობა; რომ მარტო სახელმწიფო და მისი სტრუქტურები ერთმანეთის ამ გაუცხოვებას ვერ მოერევიან, რომ ნდობის აღდგენა, სამარცხვინო წარსულის დავიწყება კოლექტიურად და დირიჟორის ჯოხის აქნევა-დაქნევით არ ხდება, იგი თითოეულმა ქართველმა და აფხაზმა საკუთარ გულსა და ტვინში თავად უნდა გადახარშოს, მოახერხოს, გადააბიჯოს ყალბ თავმოყვარეობას და ამპარტავნობას, ამბიციასა და განსაკუთრებულობის გრძნობას.

**13. სწორედ** ამიტომ, უმორჩილესად ვთხოვ ჩვენს თანამემამულეებს – სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს, რომელთა გულწრფელობაში იოტის ოდენა ეჭვიც კი არ მეპარება, მაგრამ აშკარაა პრობლემის ისტორიასა და არსში, მოლაპარაკებების ტექნოლოგიებსა და რეალობებში მათი ნაკლებპროფესიული ჩახედვა-ჩართულობა, ეგებ ღირდეს, მივიღოთ გამოცდილ სპეციალისტთა რჩევა: ოდნავ მაინც დავიოკოთ ემოციები და თუ დაჟინებით გვსურს, მთელ ქვეყანას გავაგებინოთ გულწრფელი გულისტკივილითა და აღშფოთებით სავსე, მაგრამ საკუთარი „სიბრძნით“ სავსე მოსაზრებები, ვეცადოთ, ეს მოვახერხოთ ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ აწონილ-გაწონასწორებული რიტორიკით და დაუსწრებელი დიალოგი წარვმართოთ მხოლოდ ძმებში დაშვებული კეთილშობილებით. მხოლოდ ასე ურთიერთობენ ისინი, ვისაც გულწრფელად სურს ერთიან ოჯახში ცხოვრება, ვინც ფიქრობს შთამომავლობის და ერთიანი სამშობლოს მომავალზე.



**ნუგზარ ფოფხაძე**



## რაულ ხაჯიმბა: რაო, რაო, საქართველო აფხაზეთისთვის მტერი არ არისო?!

აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერი რაულ ხაჯიმბა „გაკვირვებულია“ ოკუპირებულ რეგიონში გაკეთებული განცხადებებით იმის შესახებ, რომ „საქართველო მტერი არ არის და მასთან ურთიერთობების ჩამოყალიბებაა აუცილებელი“. ასე გამოეხმაურა ხაჯიმბა აფხაზ პოლიტიკოს სერგეი შამბას მიერ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებებს:

**„გასაოცარია, რომ ჩვენთან უკვე ასეთი ხმებიც გაისმა, „საქართველო აფხაზეთისთვის მტერი არ არის და მასთან ურთიერთობები უნდა ჩამოვაყალიბოთო“. რა, თბილისმა უკვე გაგვიფორმა ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმება? ჩვენ რა, აღარ გვესმის, რომ საქართველო მზადაა, ეს საკითხები ძალისმიერი გზით მოაგვაროს?! (...) ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ საქართველოს ტერიტორია არასოდეს ვყოფილვართ, ეს იყო ხელოვნური წარმონაქმნი იმ პერიოდში, შესაბამისად, წარსულში დაბრუნება არ იქნება“,** – განაცხადა ხაჯიმბამ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე. ხაჯიმბა „რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების“ იდეასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს „ფორმალური სუვერინიტეტია“.

**„მე ვთხოვ ყველას, თავი გაანებონ მსგავსი იდეებით ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობებს“,** – დასძინა მან.

# ტყიბული უნდა გადავარჩინოთ!

## ირაკლი მანჯავიძე:

## როგორ შეიძლება შახტში მუშაობა, თუკი იქ ჯარზე უფრო მეტი დისციპლინა არ არის?!



**რატომ ვუსწრებთ მეშახტეების ტრაგედიის მასშტაბით დანარჩენ მსოფლიოს და რა აუცილებელი კრიტერიუმებია საჭირო, რომ მეშახტის პროფესია სასიკვდილო პროფესიასთან არ იგივდებოდეს? ამის შესახებ For.ge-ს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ირაკლი მანჯავიძე ესაუბრა.**

**– სტატისტიკის თანახმად, მეშახტეების ტრაგედიის მასშტაბს იმის მიხედვით ადგენენ, თუ მილიონ ტონა მოპოვებულ ქვანახშირზე რამდენი ტრაგიკული ფაქტი აღირიცხება. ტყიბულის შახტში მილიონ ტონაზე არც არის საუბარი, მაგრამ ფატალური შემთხვევები შთამბეჭდავია. ამ მხრივ რატომ ვართ პირველები?**

– ყველაზე ცუდი შემთხვევები ავიღოთ, რათა შევადაროთ ტყიბულში არსებულ სიტუაციას. მაგალითად, კუზბასის შახტში მაქსიმალური სიკვდილიანობა 5,6-ია ერთ მილიონ ტონა ქვანახშირზე. ყარაგანდაში ათი წლის საშუალო მონაცემებს რომ გადავხედე, 5,8 ფიქსირდება. საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამთო საქმეში ყარაგანდა ყველაზე გაუბედურებულ და უპატრონო ადგილად ითვლება. მიიჩნევა, რომ იქაურ შახტებში ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება და გამოსავალი არ ჩანს. მართალია, ახლა იქ შეაჩერეს მოპოვებითი სამუშაოები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საშუალოდ 5,8 დაღუპული მაინც მოდის ერთ მილიონ ტონა ქვანახშირზე. ტყიბულის სტატისტიკას თუ ავიღებთ, პროფკავშირების მონაცემები ძალიან გადაჭარბებულია. მე ავიღე ბოლო მონაცემები, 2016-დან 2018 წლამდე პერიოდი და მივიღე 11, 1 დანაკარგი, ანუ 11 კაცია დაღუპული მილიონ ტონაზე, ე.ი. ჩვენ ყველა ტრაგიკულ მაჩვენებელს ვაჭარბებთ. ყარაგანდას ლამის ორჯერ ვაჭარბებთ. სამთოელები ვერ შევეგუებით, რომ ტყიბულში ადამიანები ასე ადვილად იღუპებოდნენ.

**– მიზეზები კომპლექსურია, დაწყებული უსაფრთხოების დაუცველობიდან, დამთავრებული იმით, რომ ამფეთქებლის საქმიანობას ჩვენში პროფესიონალურად არავინ ეუფლება.**

– მიზეზებზე თუ დავიწყებთ საუბარს, შახტებში არსებული პრობლემები ერთი-ერთზე თანხვდება ჩვენს პრობლემას. გეგონებათ, იქაც ტყიბულზეა საუბარი. იქაც ანალოგიური რამ მოხდა, 90-იანი წლების შემდეგ გაჩერდა შახტები, მრეწველობა. საწარმოებმა დაიწყეს კერძო ხელში გადასვლა, დაიწყო მტაცებლური მოპოვებები. ამიტომაც შედეგმა არ დააყოვნა – კუზბასის ერთ-ერთ შახტზე სასიკვდილო შედეგის მქონე ავარიის მიზეზი სპეციალისტების უმოქმედობა იყო, მათ შორის, უცოდინრობა. თუმცა ყველამ უშველა თავს, იქ უკვე აღარ მოიპოვება ქვანახშირი ასეთი სახით და ყველამ გამოსავალი იპოვა. ამიტომ ჩვენც გავიზიაროთ მათი გამოცდილება და ჩვენიც დავუმატოთ. ჩვენს რეკომენდაციებში ბევრი მათი გამოცდილება გაზიარებულია, მაგრამ არის სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ ტყიბულისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენთანაც არის უცოდინრობა, იმის გამოც, რომ პაუზის შემდეგ პროფესიონალმა კადრებმა დატოვეს შახტები, კომერციულ საქმიანობას მიჰყვეს ხელი და შახტებს დარჩათ არაკვალიფიციური კადრები. არაკვალიფიციურმა კადრებმა, უცოდინრობამ, შრომის უსაფრთხოების დაუცველობამ კი სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

**– პროფესიონალიზმის ასამაღლებლად რამდენად მნიშვნელოვანია მმართველი და ტექნიკური პერსონალის ატესტაციის ჩატარება?**

– როგორც ვიცი, ტყიბულში გადადგა მენეჯმენტის ძირითადი ბირთვი. რუსეთშიც დაიწყეს მმართველი და ტექნიკური პერსონალის ატესტაციების ჩატარება. ვინც ატესტაციას ვერ გაივლიდა, მართვაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას. ეს ჩვენთანაც გასაკეთებელია. ამას ემატება დისციპლინის გამკაცრება. დისციპლინა ისეთივე უნდა იყოს, როგორც ჯარში. როგორ შეიძლება შახტში მუშაობა, თუ ჯარზე უფრო მეტი დისციპლინა არ არის?! გახსოვთ, ალბათ, ტელევიზიით გამოვიდა მუშა, მითხრეს, გადიო, მაგრამ მე არ გავედი და დავრჩიო. ასეთი რამ არ შეიძლება. შრომითი უსაფრთხოება, ინსტრუქტაჟები, სამუშაო ადგილებზე პრაქტიკული მეცადინეობები ძალზე სერიოზული საკითხებია. ასევე, ამ ეტაპზე მაინც უნდა მოხდეს ყველა ტექნოლოგიური პროცესის ვიდეომონიტორინგი, რომელიც მიწისქვეშ მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებსაც დაახლოებით ასეთი გამოცდილება აქვთ სამუშაო ადგილებზე. რა გახდა ამის გაკეთება? რა თქმა უნდა, აუცილებელია გაზების კონცენტრაციების კონტროლის აპარატურა და ა.შ.

**– შახტებზე ზედამხედველობა ვის უნდა დაევალოს?**

– ცხადია, უსაფრთხოებას სჭირდება ზედამხედველობა. ტყიბულში ხორციელდება ადგილობრივი ზედამხედველობა თვითონ შახტზე, მაგრამ არის კიდევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. როგორც ჩანს, უსაფრთხოების მხრივ ვერ არის საქმე კარგად. როდესაც ასეთი ამბავია ქვეყანაში ატეხილი და მომხდარი ფაქტის გამოძიებას ცდილობენ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა ჰქონდეს დადებული დასკვნა, თუ რა მოხდა. ორჯერ თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ამოწმებდნენ შახტებს. იანვარში იყვნენ ჩასულები, მერე სამი თვის წინათ ავარია რომ მოხდა, მაშინაც ჩავიდნენ და ახლაც ჩავიდნენ. პირველი ინფორმაცია მათ უნდა ჰქონდეთ, რატომღაც ეს ხალხი არ ჩანს. არადა, იქ პროფესიონალი სამთოელები უნდა იყვნენ, რომლებიც ამ საქმეს მიხედავენ. აიყვანონ პროფესიონალები, რომელთაც პულსზე ედებათ ხელი, თუ რა ხდება შახტებში. ეს მარტო ტყიბულს არ ეხება, ჭიათურასაც... ათასი ობიექტია. ის, რაც პრობლემურია კემეროვოს ოლქში, ზუსტად შეიძლება ჩვენთანაც გადმოვიტანოთ, რომ საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური კადრები არ გვყავს.

**– ტექნიკური უნივერსიტეტი ვერ მიაწვდის შახტებს შესაბამის კადრებს?**

– 2015 წელს კადრებთან დაკავშირებით მომმართეს ტყიბულიდან, სპეციალისტი სჭირდებოდათ ტექნიკურ საკითხებში. მაშინ ჩვენი პროფესორი გელა მაჩაიძე წასული იყო საზღვარგარეთ თავისი პროფესიით სამუშაოდ. ჩამოვიყვანეთ, გავუშვით ტყიბულში, იმუშავა ცოტა ხანს და ვერ გაძლო ამ კაცმა, მიატოვა ყველაფერი და წამოვიდა. იქ მან გააკეთა ანგარიში – „საქნახშირი – ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფის პრობლემები და გადაწყვეტის გზები“. ამ ანგარიშში პირდაპირ ჩანს სერიოზული პრობლემა, მისი დასკვნით, უახლოეს პერიოდში ტყიბულს სჭირდებოდა ინჟინერ-ენერგეტიკოსი 8-12 კაცი, ინჟინერ-ტექნიკოსი 10-15 კაცი, ინჟინერ-ავტომატიკოსი 5-10 კაცი, ინჟინერ-ტექნოლოგი 15-22 კაცი, მარკშეიდერი და ა.შ. ამ რეკომენდაციებიდან არც ერთი არ შესრულდა, არავინ წასულა ჩვენიდან იქ სამუშაოდ, რადგან რომელი მშობელი გაუშვებს ასეთ საწარმოში შვილს? ჩვენ გვაქვს გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ შეივსოს ტყიბული კვალიფიციური კადრებით. პრობლემაა, რომ არ გვყავს ამფეთქებლები. საქართველოში არ არის ორგანიზაცია, რომელიც გამოუშვებს ამფეთქებლებს. ადრე ეს პროფესია მხოლოდ ჩვენს კათედრაზე იყო, მერე მოიშალა და ამის გამო წარმოებებსაც გაუჭირდათ. მათ სჭირდებათ პროფესიული განათლების მქონე ამფეთქებლები, რომელთაც ექნებათ დიპლომი. შევიკრიბეთ სპეციალისტები და ბრწყინვალე პროგრამა შევადგინეთ, თუ როგორ უნდა გაიაროს ადამიანმა ჩვენი კურსები. ეს არ იყო ხანგრძლივვადიანი კურსები, ოთხთვიანი იყო. ამჟამადაც მირეკავენ წარმოებებიდან, მეკითხებიან, როდის გაიხსნება თქვენთან ასეთი კურსები, გვჭირდება ამფეთქებლები, ვერ ვმუშაობთო. ამიტომ განათლების სამინისტროს უნდა ვთხოვოთ, ან დაგვიჩქაროს ეს პროექტი, ან, თუკი უარს გვეუბნებიან, გვითხრან, რატომ გვეუბნებიან უარს. გარდა ამისა, უსაფრთხოების წესები თავიდან შესადგენი და დასახვეწია და სხვა ქვეყნებს უნდა გავუსწორდეთ, რომელთაც ანალოგიური პრობლემები გადაწყვიტეს. მაგრამ ის, რაც უწერიათ უკვე არსებულ უსაფრთხოების წესებში და იმასაც არ იცავენ, ეს არის უბედურება. პირველ რიგში, მე ვფიქრობ, რომ საჭიროა სქელი ციცაბო კედლის დამუშავების ტექნოლოგიების დანერგვა, რადგან, რითიც მუშაობენ დღეს ტყიბულში, ეს არ არის თანამედროვე ტექნოლოგიები.

**– ვთქვათ, უსაფრთხოდ მოვიპოვეთ ქვანახშირი, მაგრამ ქვანახშირს რეალიზაციის ბაზარი სჭირდება. ამ მხრივ ხარვეზებია?**

– ნამდვილად არის პრობლემა, თუ რა უნდა ვუყოთ ამ პროდუქციას. სად წავიღოთ პროდუქცია? დღეს ჩვენი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია ცემენტის წარმოება, რადგან კლინკერის (ცემენტის ძირითადი ნედლეული) დამზადების დროს იყენებენ ქვანახშირს. ათი წლის წინათ საქართველოში გაზზე მომუშავე ღუმელები გადაიყვანეს ქვანახშირზე, რადგან წვის პროცესში კლინკერი უფრო ხარისხიანი გამოდის და ქვანახშირით უფრო მაღალი ხარისხის ცემენტი მიიღება, ვიდრე გაზის ღუმელებში. თუმცა სამწუხაროა, რომ ნელ-ნელა მოიმატა გაზზე გამომწვარი კლინკერების მოცულობამ, რომელიც 20-25%-ით იაფია, მაგრამ უხარისხოა. ამიტომაც გაანახევრეს მოთხოვნა ჩვენს ქვანახშირზე, უხარისხო კლინკერის ნახევარი შემოაქვთ ირანიდან, ურევენ ერთმანეთში და მიდის ცემენტის წარმოება ამ არასწორი გზით. ეს მაშინ, როცა აქაურ წარმოებას უნდა შეწყობოდა ხელი. ასეთი შერევით მოხდება ის, რომ, ვინც ყიდის ამ ცემენტს, ის მოითბობს ხელს, ფასს არ დაუწევს, ეკონომიას გააკეთებს და ხარისხს დააგდებს. სხვათა შორის, ცემენტიც ირანიდან შემოდის და ფასიც უფრო დაბალია, ვიდრე აქაური ცემენტის. ხომ შეიძლება, მივმართოთ მთავრობას, რომ საგადასახადო პოლიტიკაში აისახოს, საბაჟო გადასახადი ცოტა მოუმატონ შემოტანილ პროდუქციას, რის შემდეგაც ჩვენი ნახშირი უფრო კონკურენტუნარიანი გახდება და კლინკერიც უკეთესი ხარისხის იქნება. თორემ ასე თუ გავაგრძელებთ, ცოტა ხანში შემოტანილი ცემენტი წალეკავს აქაურობას და ჩვენი მწარმოებლები ამ საქმეს თავს დაანებებენ. სხვათა შორის, ცემენტის შემოტანისას იხდიან მხოლოდ საბაჟო გადასახადს მაშინ, როცა ჩვენი მწარმოებლები იხდიან საშემოსავლოსაც, მოგების გადასახადსაც, დღგ-საც და ეს ბევრად მეტია, ვიდრე მათი საბაჟო გადასახადი.

**გარდა ამისა, ტყიბულში არის მცირე ზომის – 13,2 მეგავატის მქონე თბოელექტროსადგური, რომელიც დღეს გაჩერებულია. სამთოელებს დიდი ხანია გვპირდებიან, ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურს ავაშენებთო. 20 წელია, ამაზე საუბრობენ, არადა, დღეს ქვეყანაში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების შენების ტენდენციაა. მით უმეტეს, ჩვენი ჰიდროელექტროსადგურები ზამთარში ნაკლებს გამოიმუშავებენ, ზაფხულში ბევრს გამოიმუშავებენ და ელექტროსადგურები საჭიროა. ამიტომ 150-200-მეგავატიანი თბოელექტროსადგურის აშენება ტყიბულის ქვანახშირის ბაზაზე გააუმჯობესებდა ქვეყანაში ენერგეტიკულ მდგომარეობას.**

**– როგორც ვიცი, სამთოელების იდეაა, ტყიბული მაღალმთიანი რეგიონების ნუსხაში შეიყვანოთ. ეს გადაარჩენდა ტყიბულს?**

– ჩვენი ქვანახშირის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის და იმისთვის, რომ ტყიბული არ მოკვდეს საბოლოოდ, აუცილებელია ტყიბულის მაღალმთიანი რეგიონების ნუსხაში შეყვანა და ამ კანონის სრულად ამოქმედება ტყიბულისთვის. ზოგადად, ეს კანონი ასეთ რეგიონად მოიაზრებს ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზემოთ არსებულ დასახლებებს, თუმცა ამავე კანონში წერია, რომ შესაძლებელია უფრო დაბალ ნიშნულებზეც ამოქმედდეს ეს კანონი, თუკი ამის სათანადოდ დასაბუთება მოხდება. ამიტომ ამ ნუსხაში შეყვანა ბევრ სიკეთეს მოუტანს ტყიბულს, ვინაიდან აქ არის სერიოზული სოციალური შეღავათები მთელი მოსახლეობისა და წარმოებისთვის. კანონი იმასაც ითვალისწინებს, რომ რაღაც პერიოდში მოიხსნას გადასახადები. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ტყიბულში წარმოებამ იმუშაოს და არაფერი არ გადაიხადოს არასდროს, მაგრამ ასეთ სიტუაციაში, ამ კანონის ტყიბულზე გავრცელება ნამდვილად კარგი იდეა იქნება. დაბოლოს, სამთოელების მოსაზრებაა, რომ კონტროლის განხორციელების მიზნით შევქმნათ სამთო დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო 3-5 წევრის შემადგენლობით. სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება კი დაევალოს სამთო საზოგადოებასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# ვისი მთავრობაა ჩვენი მთავრობა?



**პატარა ეკლესიის ლამაზად აყვავილებულ კოპწია ეზოში სკამზე მე და მამა საბა ვსხედვართ და ვსაუბრობთ, უფრო სწორად, მე მასთან აღსარებაზე ვარ და ვუყვები, რა მახარებს, რა მაწუხებს... ცოდვა, ცოდვა გაიხსენე, — შემაწია მამა საბამ. ცოდვა!-მინდა გავიხსენო, მინდა მამა საბას როლი გავააქტიურო, მაგრამ არაფერი მაგონდება, რა დავაშავე, რა შევცოდე ამ მოკლე დროში, ვის რა ვაწყენინე? საოცარია, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ვერაფერს ვიხსენებ... არადა, მარტოობის დროს, ხშირად წამოტივტივდება ხოლმე სურათები ჩემი ცხოვრებიდან, რომელთა შესახებ გამძაფრებული კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს და ჩემს თავს ისე ვუჯავრდები, თითქოს ამით რაიმეს გამოსწორება შემეძლოს...**

ადამიანი, თუ ავადმყოფობამ არ დააჩიავა, წლები, ხანგრძლივი ცხოვრება მას არ აბერებს. სულიერი სამყარო კი უმდიდრდება მიღებული ცხოვრებისეული ცოდნით და გამოცდილებით და როგორც ადამიანი, იგი სრულყოფილებამდე მიდის. ამიტომ არის სასურველი ასაკოვანთა ჩართვა ყველგან, ყველა საშინაო საქმიანობაში. ამიტომ არის პლანეტის ყველა ხალხი ბრძენკაცის პორტრეტს თეთრწვერიან მოხუცად რომ წარმოგვიდგენს. დიახ, ასე მგონია, მაგრამ ადამიანი ადამიანია და იგი მაინც ცოდვილი არსებააო, ამბობს რელიგია. რა სცოდა და როდის — ამის ახსნა-განმარტებას მე არ შევუდგები, უფრო სწორად, ამ ღრმად ფილოსოფიურ საკითხზე მე რას ვიტყვი (საკმაოდ ბევრია ნათქვამი!), მაგრამ, მაინც დამაფიქრა მამა საბას შეკითხვამ.

ადამიანი წარმოშობის დღიდან ცოდვამადლით მოდის და ასე ივლის ალბათ მანამ, სანამ თავად დედამიწა არ შეწყვეტს არსებობას. თუმცა, ჭკვიანი ადამიანები, ნიჭიერები, გენიოსები, ადამიანები, რომელთა წყალობითაც ვითარდება კაცობრიობა და ერთი ცივილიზაცია იცვლება ახლით და უკეთესით, ცდილობენ, ნაკლები ცოდვით მიაღწიონ განვითარების უმაღლეს საფეხურს, და ჰოი, საოცრებავ! — მიუხედავად მათი მცდელობისა, ყველანი თვალნათლივ ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ კაცობრიობის განვითარებას, კულტურათა გამრავალფეროვნებაში მსოფლიო ინტელექტუალთა ჩართვას, სიკეთესთან ერთად ქვეყნად დიდი ბოროტება მოაქვს, აქედან გამომდინარე, შემოქმედთ დიდი ცოდვები აწევთ ზურგზე და არა მარტო მათ, მთელი სამყარო ცოდვათა მორევშია ჩათრეული, რადგანაც, გვინდა თუ არ გვინდა, „მბრძანებელი ბუნების“ წინააღმდეგ მივდივართ და მძიმე შედეგებსაც ვიმკით, მაგრამ ყოველივე ამას რომ ვეგუებით და მერე უგულებელვყოფთ — აი, ეს არის საკვირველი.

ამ მხრივ, არც ჩემი პატარა სამშობლო „მოიკოჭლებს“. ტექნიკურმა პროგრესმა ჩვენს ყოფაში ისეთი ელემენტები შემოიტანა, ოცი წლის წინათ სიზმრადაც რომ არ მოგვეჩვენებოდა. მეცნიერების გამოგონებებს და აღმოჩენებს საზღვარი არა აქვს, ყოველდღე სიახლეებს გვთავაზობენ. ყოველივე ამას, ისე შევეჩვიეთ, ხვალ რომ მარსამდე საბაგირო გზა გაიყვანესო, გამოაცხადონ, არც გაგვიკვირდება, „იქ“ გასამგზავრებლად მზადებასაც კი შევუდგებით!. აი, ასე მივექანებით სადღაც, ზემოთ, მაგრამ, სული გვრჩება დაბლა და უპატრონოდ... ეს არის საშინელება.

სული და ხორცი გაიყო, უსულგულოებით გაივსო ქვეყანა. საოცარი ის არის, რომ სწორედ ეს უსულგულოები ფლობენ კაპიტალს და მართავენ ქვეყანას, თანაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სადავეების დაუფლებაში. რად უნდათ სადავეებიო,იკითხავთ... თურმე ასე უფრო იოლია კაპიტალის მოპოვება. მარსისა და ვენერას მიწებზე გაბატონება. ნეტავ იქაც თუ ააშენებენ ისეთ უსახურ სახლებს, ჩვენს დედაქალაქს რომ „ამშვენებს“ ახლა. ნეტავ, იქაც თუ იდავებენ, სამუშაოდ რომელი შენობა, სასახლე მიუჩინონ პრეზიდენტს...

არ ვიცი, უკვირთ თუ არა პოლიტოლოგებს, მაგრამ მე კი ნამდვილად მიკვირს, რატომ უნდა იყოს სადაო პრეზიდენტის სამყოფელი? თუ პრეზიდენტი (ზოგადად — პრეზიდენტი) არის ქვეყნის სახე და ავტორიტეტი, მისი სასახლეც უნდა იყოს გამორჩეული. სასახლე, რომელშიც ამჟამად პრეზიდენტი მუშაობს, რამდენადაც ვიცი, კარგი არქიტექტურული შენობაა და გვიხარია რომ იგი ჩვენს საუკუნეში შეიქმნა და აშენდა. იგი არც პრეზიდენტის არის და არც მთავრობის, იგი საქართველოსია, ქართველი არქიტექტორის გიგა ბათიაშვილისა და იტალიელი მიკელე დე ლუკის შემოქმედების ნიმუში, ეს ნეოკლასიკური შენობა თავისი კლასიკური კომპოზიციით, მართლაც რომ დაამშვენებს და ამდიდრებს საქართველოს არქიტექტურის ისტორიას, ამშვენებს ჩვენს დედაქალაქს, ჩვენს საუკუნეს! არ იქნება ურიგო თუ საქართველოს პრეზიდენტები ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევ-გადასაწყვეტად იმუშავებენ ამ სახლში...

**მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არ არის მთავარი. მთავარი ახლა ხალხია — სად იცხოვრებს, როგორ ქვეყანაში და როგორ მდგომარეობაში. ხალხი, რომელიც დღეისთვის სიბნელეშია, როგორც ცხოვრების პირობებით, ასევე ცოდნით და განათლებით... უძლურია სახელმწიფო, როდესაც მისი მთავრობა გაუგებრობას წარმოადგენს ხალხისთვის და პირიქით, მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრების დონით თუ არა, ცოდნით და განათლებით, გარკვეულწილად, მაინც ჰგვანან ერთმანეთს!**

ადამიანთა სურვილები და მოთხოვნები, განა მარტო ჩვენთან — ზოგადად, პლანეტაზე, გასცდა ყოველგვარ შესაძლებლობებს... მოთხოვნათა და შესაძლებლობათა დისპროპორცია თრგუნავს ადამიანს. დათრგუნვილი კაცი კი ნახევარკაცია, არ არის ის პირი, თუნდაც სახელმწიფოს ერთ-ერთ სოციალურ ელემენტად რომ ჩაითვალოს... ამ დროს კი დათრგუნვილებით გაივსო ჩვენი ქვეყანა. ვისი მთავრობაა ჩვენი მთავრობა, რომელ დათრგუნვაზეა საუბარი? არ რცხვენიათ! უპენსიო ინტელიგენციისა და მშრომელების, მხოლოდ 180-ლარიანი დახმარებებით რომ „უმასპინძლდებიან“? არ რცხვენიათ უმუშევართა კოლონებისა, რომლებიც არც ამ სამარცხვინო დახმარებასაც არ იღებენ? და თურმე, ამ დროს, მთავარი ხალხი კი არა, ის არის მთავარი, წარმოადგენს თუ არა პრეზიდენტი იმ პირს, თანამედროვე სასახლეში რომ წარმართოს თავისი საქმიანობა. ამ მართლაც ნაძალადევად შექმნილ პრობლემას ნეტავ, ვინ უნდა წყვეტდეს?

ძვირფასო მკითხველო, ჩვენს (ანუ ხალხის) გაჭირვებაზე არა ერთხელ მისაუბრია, ვინ მოთვლის, რამდენი რამ არის კიდევ სათქმელი, მაგრამ ესმის კი ეს თქმა ვინმეს? მართლაც სასწაული მდგომარეობაა, ფულიანები კვლავ თბილი და ტკბილი სავარძლების მოსაპოვებლად ემზადებიან დათრგუნვილი, გაპროლეტარებული ინტელიგენციისა და სიბნელესა და სიღატაკეში მოლასლასე ხალხის გამოისობით. ამ დროს, ამ ხალხს არც ხმა აქვთ, არც ძალა და არც ღონე, თორემ სულ სხვაგვარად შემოაბრუნებდნენ ქვეყნის ცხოვრებას!



როგორ არ მიკვირდეს, რას უნდა აკეთებდეს და რას აკეთებენ ჩვენი „ძალოსნები“!.. ცხოვრების გზა მათზე არ მოქმედებს, ცოდვების არ ეშინიათ?

**გულნარა სტურუა**

# კიდევ ერთი ახალი ქართული „მოდა“



**ბერბიჭობა ქართული მოდაა და მას უამრავი მიმდევარი ჰყავს, ამაზე ბევრჯერ დამიწერია და მიყვირია კიდეც, მაგრამ ამ სფეროში კიდევ ერთ ახალ მოდას თუ შემოგვაჩეჩებდნენ და თანაც ჯერ გაუგონარს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.**

ყოველ ცისმარე დღეს იალღუჯზე მოლაშქრე სიჯანსაღის მოყვარულთა შორის ერთი ქალბატონი გამოირჩევა. მას ორი, რომ იტყვიან, დაკაცებული ვაჟი ჰყავს. ნასწავლები და ცხოვრებაში გზაგაკვალულები. ჰოდა, მისმა ერთმა ვაჟმა ამ სამიოდე წლის წინათ, როგორც იქნა, გაბედა და ცოლი შეირთო.

ქორწილი ზღაპრული გადაიხადეს. ჩვენი თანასპორტსმენი ქალბატონი ბედნიერზე ბედნიერი იყო, როგორც იქნა რძალს ველირსეო. მაგრამ ბოლო დროს რაღაც დანაღვლიანდა, ჰოდა, ჩავეკითხე, რა ხდება, ბებია ხომ გახდი-მეთქი, ჯერ არაო, მერე მიაყოლა, არ ჩქარობენ, არადა, მე და ჩემს ქმარს ძალიან გვინდა შვილიშვილი, ვბერდებით, პატარები რომ გვყავდეს, მოხუცებულობის სიმძიმეს ბავშვები შეგვიმსუბუქებდნენ, გაგვალაღებდნენ, სიცოცხლის ხალისს შეგვმატებდნენო.

— მერე და რატომ არ შეუძახებთ, პატარები გვინდა, საქმეს მიხედეთო.

— რაღა თქმა უნდათ, ეზოში სხვათა პატარებს რომ ავიტაცებ, ვეფერები, ვესიყვარულები, განა არ ხედავენ, მაგრამ არ გვეჩქარებაო. დღევანდელ ახალგაზრდებს რას გაუგებ, ადრე ასე როდი ხდებოდაო, — შემომჩივლასავით.

რატომღაც მეგონა, ეს ერთეული შემთხვეაა-მეთქი, მაგრამ გავიხედ-გამოვიხედე, მივიკითხ-მოვიკითხე, ბევრი თავის მტვრევა არ დამჭირვებია, ბევრი ახლობელი თურმე ასე იქცევა, ეს წესად დაუმკვიდრებიათ, არადა მეგონა, უშვილობის პრობლემა ჰქონდათ ამ ჩემს ნაცნობ, არცთუ ახლახან დაქორწინებულ წყვილებს, თურმე სადა ხარ...

არადა, დაეჭვდები, ცოლები მოიყვანეს თუ საყვარლებიო, — მითხრა ერთმა ოჯახისშვილმა.

რა თქმა უნდა, იმ პირველ, „მოდაზე, ანუ ბერბიჭობაზე, ორმოცს მიღწეულებზე თუ გადამეტებულზე ადრე მრავალგზის დავწერე, გავახმიანე, არადა მარტო რუსთავში 700 კაცის ტრაგედიაზე უფალსაც შევღაღადე.

იქნებ მიწყინონ, გამიბრაზდნენ, მაგრამ მე ისინი მაინც სამშობლოს მტრებად მიმაჩნია და განა მარტო მე...

ქართველთა მესამე მოდა ერთი ან ორშვილიანობაა. გამოჩეკავენ ერთ ვარიას თუ, მამლაყინწას, ჰოდა, დაკურკურებენ მას. ამ დროს ქვეყანაში ათასობით არაბი, ინდოელი თუ სპარსელი შემოდის, მათთვის ხომ კარი ღიაა, აქაურობაც სამოთხეა, მერედა შვილების გაჩენა და გამრავლება ეზარებათ თუ რა.

აქამდე რუსთავსა და რუსთაველებზე — იოსებ სტალინის ქართველთათვის ნაჩუქარზე ვჩიოდი, ქალაქი იცლება, ბერბიჭებმა ჩაძირეს-მეთქი, თითო კინკილა ბავშვი თუ დაკეჭნაობს რვა და ცხრასართულიანი სახლების უშველებელ ეზოებში, ბაღებში, მობიბინე ხეივნებში, ისიც მეტწილად სხვა ჯურისანი.

ახლახან კახეთში ვიყავი, ამ ცხელ ზაფხულს სიძეს შევეფარე, სიღნაღის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ნუკრიანში.

სხვა დროსაც ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ამჯერად ხანგრძლივად მყოფმა თავის შესაქცევად გულდაგულ დავიარე იქაურობა.

ნუკრიანს, 1984 წელს გამოცემულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ სოლიდური ადგილი აქვს დათმობილი სიღნაღის მიმდებარე გომბორის ქედის ჩრდილოაღმოსავლეთით. სოფელ-ქალაქს აქვს ორი სკოლა, 5 ბიბლიოთეკა, 4 საბავშვო ბაღი, აქვს მედპუნქტი, კლუბი, მძლავრი მეცხოველეობითა და მემცენარეობით წარმატებულია, ღვთისგან კურთხეული.

სოფელს რომ 4 საბავშვო ბაგა-ბაღი დასჭირდება, წარმოიდგინეთ, რა ბავშვთა სიმრავლე იქნებოდა, რა ხალხმრავლობა, რა სისხლსავსე ცხოვრებით ბობოქრობდა იმ წლებში იქაურობა.

ენციკლოპედიას როგორ არ დაუჯერებ და მართლაც მის უსასრულოდ გრძელ ქუჩებში რომ დავდიოდი, ჯერ ის მიკვირდა, ნუკრიანს რატომ ერქვა სოფელი. ამ ქუჩების გასწვრივ ლამის ერთმანეთის მიჯრით ორსართულიანი სახლები, სახლები კი არა, სასახლეებია მწვანე ეზოებით ჩაკიწკიწებული და მწვანედ აბიბინებული.

დღეს ნუკრიანში ოფიციალურად 1000 კომლი მაცხოვრებელი ითვლება. ფაქტობრივად 1100-ზე ცოტა მეტი კაცი ცხოვრობს. დიახ, ამ ტაძარ-სასახლეებში ბევრგან ერთი, ორი, მეტწილად კი არც არავინ ჭაჭანებს, ღამე აქა-იქ თუ აინთება ნათურები, წყვდიადი მეფობს.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. არადა, ცარიელ სახლებს, უფრო სწორად, სასახლეებს დიდხანს დაცლილს ვინ შეგარჩენს?.. აკი ვთქვი, არაბნი, სპარსნი, ინდოელნი უხმლებოდ, უსისხლოდ მოდიან და გვიპყრობენ.

არადა, მარტო ნუკრიანი რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ მთელი კახეთიც, ქართლიც...

დაცლილია ასევე დასავლეთში ჩემი საამაყო სოფელი ჯოლევი და ასობით სხვა ქალაქი თუ სოფელი. ადამიანთა სიმრავლით განთქმული აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, გურია დემოგრაფიული შიმშილით სულს ლაფავენ. კვდება და ნადირის სამფლობელო ხდება, მერე კი გადამთიელი შემოვა და...

ამ დროს სხვა უბედურებაც გვემუქრება, როგორიც ჩვენი ასწლოვანი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 4 აგვისტოს ნომერი გვაფრთხილებს, თურმე ახლა გვიდგას შობადობის გარდაუვალი კლების პერიოდი. 80-იან წლებში საქართველოში 45000 გოგო დაბადებულა, 90-იან წლებში მათი ნახევარიც არა. სწორედ ეს თაობა შედის ახლა დედობის ასაკში, მაგრამ ამ შემცირებული რაოდენობიდან ნახევარზე მეტი უცხოეთშია გადახვეწილი! მათგან ბევრი ამერიკელს, გერმანელს, თურქს, ბერძენს და ვინ იცის, ვის უზრდის ქართული ჯიშ-გენით გამაგრებულ შვილს.

აი, ჩვენი სახარე ბიჭები, განა ასნი და ათასნი, ნარკოტიკების ბოლებაში არიან დახელოვნებულნი. ეს სენი განუკურნებელ უბედურებად გვექცა.

იყიდება საქართველო, იყიდება, — გოდებდა ჩვენი სასიქადულო, ერის მოჭირნახულე მწერალი, დიდი ნიკო ლორთქიფანიძე, და განა მარტო ის, მაგრამ ვინაა გამგონი?

ხალხო, გამოფხიზლდი, გონს მოდი, კაცობრიობის გარიჟრაჟზე უფლისაგან ნაბოძები ედემ-მამული ხელიდან გვეცლება, უნდა შემოვკრათ განგაშის ზარი.

დღეს 21-ე საუკუნეა, დედამიწას 9 მილიარდამდე ადამიანი ამძიმებს, ცარიელ მიწებს კი არა, ჩვენს მამა-პაპათა წმინდა საფლავებსაც ამოგვითხრიან, მათ ძვლებს ნაგავში გადაყრიან.



**გიგი ჯახუა,**
**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპოდენტი.**
**რუსთავი**





# დივერსია ქართული სპორტისა და ქვეყნის მომავლის წინაშე

**ერის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამას დიდი ფიცრიმტკიცი არ სჭირდება. ეს რომ მეტ და მრავალფეროვან სპორტულ-გამაჯანსაღებელ ინფრასტრუქტურას მოითხოვს, ესეც ეჭვგარეშეა. რას ვაკეთებდით ამ მხრივ ბოლო 26 წლის განმავლობაში? რას და დაუნდობლად, მართლაც რომ ბარბაროსულად ვანგრევდით დიდ თუ პატარა მოედნებსა თუ სხვა სტრატეგიულ სპორტულ ობიექტებს. ასე, ერთი ხელის მოსმით განადგურდა ვაკის ყოფილი საერთო საცხოვრებლის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, „დინამოს“ სათადარიგო, ავლაბრის და სხვა უამრავი სტადიონი თუ სასიცოცხლოდ აუცილებელი სპორტული ობიექტი. სამაგიეროდ, მათ ადგილას მრავალსართულიანი კორპუსები წამოიმართა. ახალგაზრდობას სავარჯიშო, მოსახლეობას სუფთა ჰაერის ჩასასუნთქი სივრცე აღარ დარჩა. წარმოუდგენელია სხვაგან ასე ანგრევდნენ მომავალი თაობების ჯანმრთელობას და, საერთოდ, ქვეყნის მომავალს. ამიტომ განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ ამ პროცესის შესაჩერებლად.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ ამ პრობლემატიკაზე ვეტერან სპორტსმენს არმაზ ბაკურაძეს ესაუბრა.**

— იმით დავიწყოთ, რომ წინა ხელისუფლებამ თბილისში გაყიდა, დაანგრია და გააუქმა 10 საერთაშორისო სტანდარტული ზომის სტადიონი (სიგრძე — 100 მეტრი, სიგანე — 68 მეტრი). აგრეთვე ვაკეში 8 მაღალი რანგის სპორტული ობიექტი; ბათუმისა და ზუგდიდის ცენტრალური სტადიონები, რომლებიც თავის დროზე სტალინის ბრძანებით, ჯერ კიდევ 1922-1925-1930-1950-იან წლებში აშენდა. მაშინ შენდებოდა მთელ საქართველოში. მარტო თბილისში იყო 26 სტადიონი, რომელთაგან 15-ის ირგვლივ მოწყობილი იყო სავარჯიშო ბილიკები. აქედან, ღმერთის წყალობით, ნაძირალა ქართველებს გადაურჩა მხოლოდ ეროვნულზე არსებული და ისიც 1991 წლიდან თვით სპორტსმენებისთვისაც ჩაკეტილია.

გეკითხებით, ვინ გააუქმა სტადიონები? ამასაც ხომ პუტინს ვერ დავაბრალებთ, ის საქართველოს პრეზიდენტი არ ყოფილა. ვერც სტალინს, მან სტადიონები აგვიშენა და დაგვიტოვა.

1991 წლამდე თბილისის თერთმეტ და საქართველოს ყველა დიდი ქალაქის სტადიონს ჰქონდა განათება, სადაც სპორტსმენებსა და ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულ ადამიანებს ღამის 11 საათამდე შეეძლოთ ევარჯიშათ.

კომუნისტური რეჟიმის შემდეგ ზემოთ ნახსენები სამი ქალაქის 18 სტადიონიდან ვაი-ქართველებმა 17-ზე მოშალეს სავარჯიშო ბილიკები. რა ჰქვია ამას, თუ არა ხაზგასმული მავნებლობა ქვეყნის მომავლის წინაშე?!

ამან როგორც მთელ ქართულ სპორტს, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობასაც შეურყია საფუძველი, რადგან ასეთ სტადიონებზე სპორტის ყველა სახეობის სპორტსმენები ვარჯიშობდნენ როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

რაც შეეხება თბილისს, ასე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში 20 სპორტული ობიექტის დაუნდობლად დანგრევა იგივეა, რაც ატომური ბომბის ჩამოგდება იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში.

ყოფილი ხელისუფლებების მანქურთებმა, ეს საუკუნის დანაშაული რომ ჩადინათ, ფარად გამოიყენეს

## „მჭიდროდ დასახლებულ თბილისში 20 სპორტული ობიექტის დანგრევა იგივეა, რაც ატომური ბომბის ჩამოგდება ხიროსიმასა და ნაგასაკიში“

მლიქვნელი, ფულზე დახარბებული შოუ-ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი, ვითომდა ისტორიკოსები და მწერლები, ასევე სპორტსმენები, ჟურნალისტები — მათ გვარებს მოგვიანებით ჩამოვთვლი. მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ.

ჩვენი ქვეყნისთვის სტადიონები და სპორტული ობიექტები თავისი დანიშნულებით ისეთივე წმინდა ტაძრებია, სადაც ადამიანები ლოცულობენ — ისინი ხომ ერის ღირსებას, ქართული სპორტის წარმატებებს, ახალგაზრდობისა და მოსახლეობის გაჯანსაღებას ემსახურებოდნენ ათწლეულების განმავლობაში. მათ შორის წინა ხელისუფლებების „დამსახურება“ რომ არა, ეს სპორტული ობიექტები კიდევ მოგვემსახურებოდნენ, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში.

მიაქციეთ ყურადღება — დივერსია ქართული სპორტის, მისი მომავალი თაობების წინააღმდეგ ჩადენილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, 1991 წლიდან. ამ პერიოდზე დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით, ქვემოთ ვისაუბრებ.

დანაშაული ისეთი მძიმეა, რომ წესიერი სიტყვის თქმა ჭირს. ნამდვილი უბედურება დაატყდა თავს ქართულ სპორტსა და ჯანმრთელობის მოყვარულ მოსახლეობას, რაც მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ დამანგრეველმა პროცესმა მეორე უბედურება მოუტანა ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობას — ნარკომანია და პროსტიტუცია. ქუჩები გაივსო უსაქმურად მყოფი ახალგაზრდებით — ნარკომანებით, ლოთებით...

თბილისის 10 რეგიონის, ზუგდიდისა და ბათუმის ახალგაზრდობას მოუსპეს როგორც სპორტულ სექციებში, ასევე ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ვარჯიშის საშუალება.

ეს რომ არა, 20 სპორტულ ობიექტზე ყოველდღიურად 5000-მდე სპორტსმენი ივარჯიშებდა. იმუშავებდა უამრავი მწვრთნელი, ჯანმრთელობას გაიკაჟებდა ასევე მრავალი ჩვენი თანამოქალაქე.

ეს ყველაფერი ემსახურებოდა ერთ მიზანს —მეტი ნარკოტიკი, სპირტიანი სასმელი და თამბაქოს ნაწარმი გაეყიდათ ხელისუფლებაში მოკალათებულ ნარკობარონებს. ისინიც ხელქვეითების დახმარებით მასობრივად ყიდდნენ ამ ყველაფერს. ეს მცირე ჩამონათვალია დანაშაულის. ამ დივერსიის სულისჩამდგმელი, მათ შორის ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტრო, ტელევიზიის საშუალებით ვითომდა ნარკოტიკების განადგურების კადრებს გვაჩვენებდა.

ამის გამოა, რომ დღეს ქვეყანაში უამრავი ავადმყოფი ბავშვი იბადება და იზრდება, რომელთა გამოჯანმრთელებას, ოპერაციებს, უცხოეთში გამგზავრებას მილიონებით თანხები სჭირდება. ეს უბედურება დათესა ქვეყანაში მახინჯი სულის ბრბომ, რომლის გამოსწორებასაც მრავალი წლები სჭირდება.

ეს დივერსია თავის დროზე ჩადენილია საქართველოს პარლამენტის, თავდაცვის, ეკონომიკის, სპორტის, განათლების სამინისტროების, სპორტის დეპარტამენტის, უშიშროებისა და უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელთა ხელმოწერებით და გადაწყვეტილებებით.

**— თუ მიმართავდით ვინმეს ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— ამ დივერსიის შესახებ თავის დროზე ეცნობა როგორც თავისუფლების ინსტიტუტს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს. მაგრამ მათი მხრიდან ისევ ნაციონალური პარტიის ქება ისმოდა.

მათაც შეეძლოთ გადაერჩინათ ეს სტადიონები. ყველამ მშვენივრად იცოდა მომავალი თაობების წინაშე ჩადენილი ამ დანაშაულის შესახებ, მაგრამ ყველა თვალს ხუჭავდა.

ამ მძიმე ქმედებაში ასევე მონაწილეობა აქვთ მიღებული ჩვენი ხელისუფლებების უცხოელ კურატორებს. საყვედური უნდა ეთქვათ ამერიკის საელჩოს იმ ხელმძღვანელებს, ვინც სააკაშვილს ამ დივერსიაში ხელი შეუწყო. მათ ჯერ კიდევ 2005 წელს ეცნობათ აღნიშნული დანაშაულის შესახებ, მაგრამ თვალი დახუჭეს და პირიქით, წააქეზეს ნაციონალური მოძრაობის ეს პოლიტიკა, რასაც მასობრივად სპორტული ობიექტების განადგურება მოჰყვა.

**— ამ ეტაპზე რა უნდა გაკეთდეს ვითარების შემოსაბრუნებლად?**

— დღესაც, უპირველესად, საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება უნდა უზრუნველვყოთ. ამის შემდეგ იმ პირების ქონების კონფისკაცია უნდა მოვახდინოთ, ვისი გადაწყვეტილებითაც დაინგრა 20 მაღალი რანგის სპორტული ობიექტი. ჩამორთმეული ფულით სამივე ქალაქში სტადიონები უნდა აშენდეს. მათ უთვალავი ფული აქვთ და საკუთარი ჯიბით მაინც პასუხი უნდა აგონ ჩადენილ დანაშაულზე.

ეს იყოს გაკვეთილი მომდევნო ხელისუფლებებისთვისაც. იცოდნენ მომდევნო თაობებმა, რას წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობა. ვიმეორებ, დანაშაული მეტად მძიმეა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ მომხდარა.

**— იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, სხვადასხვა დროს სპორტული ობიექტების ბედის შესახებ?**

— დიახ, ახლა გაგაცნობთ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სტადიონების ბედს. ეს არის 1991 წლის შემდგომი პერიოდი.

გამსახურდიას ხელისუფლების მაღალჩინოსნები მმართველობის მოკლე პერიოდშივე ახერხებენ სტადიონების, სპორტული ობიექტების, სპორტსმენთა საცხოვრებელი სასტუმროების — მათი ტერიტორიების მიტაცებას და განადგურებას. მათ შორის აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტერიტორია.

ასეთივე დანაშაულს სჩადიან შევარდნაძის ხარბი ნათესავ-მეგობრები: ნიკო ლეკიშვილი, რჩეულიშვილები და კოტე გაბაშვილი. ისინი ყიდიან და ანგრევენ ვაკის ყოფილი სტუდქალაქის უნიკალურ სტადიონს, 4 მოედანთან ერთად, აუქმებენ ვაკის მოსახლეობის სავარჯიშო კომპლექსს.

ხოლო მაშინდელი რკინიგზის შეფი აკაკი ჩხაიძე „ლოკომოტივის“ სტადიონების რეკონსტრუქციის დროს ორივე სტადიონზე აუქმებს სავარჯიშო სარბენ ბილიკებს, სადაც სპორტის ყველა სახეობის სპორტსმენები და მთელი თბილისის მოსახლეობა ვარჯიშობდა — დილის 6 საათიდან ღამის 11 საათამდე. რა ჰქვია ამას, განსჯა მკითხველს მივანდოთ.

იხ. 9 გვ.




# როდის გათენდება?!

**ერი გადაურჩა არაბობას, თურქობას, მონღოლობას, ყიზილბაშობას, გარუსებას. გაამერიკელების სალტე რატომ მიგვაჩნია ღვთის წყალობად და გადარჩენის ხატად? რატომ ვიზილებით გაუგებრობის ტალახში? „შედრეკილ-შეშინებული" ქართველთა გონებრივი ცხოვრება ცის გახსნის მოლოდინში ათენებს და აღამებს, მაგრამ სასწაული არ ხდება. მეფანდურენი" შესანიშნავად გრძნობენ თავს ერის მედროშეთა ამალაში, რომლებიც რბილ სავარძლებში განისვენებენ და „ბედნიერი ერის" ბედით არ ინტერესდებიან.**

**ყველა ეპოქაში ჩადენილი ბოროტება ისჯებოდა. ქართული „დემოკრატია" აღმოჩნდა ისეთი ჰუმანური, რომ წარსულის შეცოდებანი დავიწყებას მისცა.**

დავუშვათ, ადამიანების ერთი ჯგუფი შეგნებულად ან შეუგნებლად შეცდა (ლომაია-შაშკინის შავბნელი პერიოდი) და მიიღო შეუფერებელი და ანტიეროვნული კანონები. გავიდა წლები, მოვიდა სხვა ხალხი, მაგრამ არაფერი შეცვლილა. „დრაკონის" კანონების გადასინჯვა არავის უცდია. ახლებმა შესანიშნავად მოირგეს წინამორბედთა მუნდირი და ქექავენ წლობით დაგროვებულ ნაცარს. ტკეპნიან იმ ადგილს, რომელიც მონიშნა დიდმა „რეფორმატორმა". „ახლები" ძველებს მხოლოდ ლამაზსიტყვაობაში ეჯიბრებიან და ეს ჰგონიათ საქმის კეთება. განათლების გაუფასურების ტალღა, როგორც ადრე, დღესაც აქტიურად ვრცელდება. სათავე არავის აინტერესებს. განათლების დაცემა დაიწყო მაშინ, როდესაც თბილისსა და საქართველოს თითქმის ყველა ხალხმრავალ ქუჩაზე უნივერსიტეტი გაიხსნა. რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ ნაციონალების და მათი მემკვიდრეების უთავბოლო ქმედებების შუქზე ნაცურ **„ქართულ სკოლას და საუნივერსიტეტო განათლებას"** დავიწყების ჩრდილი ეფარება.

ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სააკაშვილ-ლომაიას აგორებულ ტალღაზე დგომას აგრძელებენ და ცდილობენ, ახალგაზრდები სამშობლოს განარიდონ. ასე ესმით თანამედროვე ერისკაცებს ქართული განათლების აღორძინება. ხმას არ ძრავენ იმის შესახებ, რომ თვალდახუჭულ მოძრაობას აჯობებდა შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი ადამიანების გამოყენება, რომლებიც ნაცისტების მთავარმა ინკვიზიტორმა ლომაიამ ჩამოაშორა საგანმანათლებლო სივრცეს. ამ ბარბაროსულმა მოქმედებამ გამოაცალა საფუძველი ცოდნის იმ დონეს, რომელიც ყალიბდებოდა საუკუნის მანძილზე და მემკვიდრეობით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას. „აპელაციის მცოდნეებმა" ქედმოდრეკილი ქართველები ევროპის ნაცვლად, ყარაყორუმისა და სტამბოლისაკენ მიმავალ გზაზე გაიყვანეს. ნაციონალების მრისხანე ბაირახტარს გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველაფერი სუფთა ფურცელიდან დაეწყო. რაც ამ ექსპერიმენტიდან გამოვიდა, კაცი მტერსაც არ უსურვებს.

ერი გადაურჩა არაბობას, თურქობას, მონღოლობას, ყიზილბაშობას, გარუსებას. გაამერიკელების სალტე რატომ მიგვაჩნია ღვთის წყალობად და გადარჩენის ხატად? რატომ ვიზილებით გაუგებრობის ტალახში? „შედრეკილ-შეშინებული" ქართველთა გონებრივი ცხოვრება ცის გახსნის მოლოდინში ათენებს და აღამებს, მაგრამ სასწაული არ ხდება. მეფანდურენი" შესანიშნავად გრძნობენ თავს ერის მედროშეთა ამალაში, რომლებიც რბილ სავარძლებში განისვენებენ და „ბედნიერი ერის" ბედით არ ინტერესდებიან.

მოვიპოვეთ „დამოუკიდებლობა". წამოვიდა განათლების გამრავალფეროვნების ნიაღვარი. გაიხსნა უნივერსიტეტები (თითქოს არსებული არ იყო საკმარისი). დროს მორგებული „მეცნიერები" სათავეში ჩაუდგნენ მიმზიდველი სახელწოდების განათლების კერებს. არცოდნაში დიპლომის მიღების მსურველები მიაწყდნენ შესანიშნავად რეკლამირებულ საკმაო დოზით „ცრუ" სასწავლებლებს (მეცნიერების გაუფასურების არნახული სარკეა ვითომ უნივერსიტეტებში სადოქტორო დისერტაციების დაცვა და ქართველ სწავლულთა რიგების ახალი კადრებით შევსება. და მთავარი: არცერთ რექტორს არ დაცდენია, რომ მოამზადებენ სკოლის მასწავლებელს, რადგან ევროპისკენ დაძრულ საქართველოში, მასწავლებლობა მოდაში არ არის). ამ სასწავლებლების დამფუძნებლები საოცარი სიამაყით აცხადებენ, რომ მიზნად აქვთ დასახული ახალი სიტყვა თქვან განათლების აღორძინების საქმეში. ამ მაღალი იდეალების პერსონები რა პასუხს გასცემენ კითხვას: **საქართველოში არის შესაფერისი კადრი, სამოცდაათზე მეტი უნივერსიტეტის წინაშე მდგარი მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოს?** (ჩემი პროფილით თუ ვიმსჯელებთ, ამ კუთხით სავალალო მდგომარეობაა). ეს ისეთივე სატყუარაა, როგორიც იყო ლომაიას ყბადაღებული ევროპული სტანდარტები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, **თვალნათლივ შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემა ჩაჭედილია იმ ჩარჩოებში, რომელიც ჩამოაყალიბა „სწორუპოვარმა" რეფორმატორმა და მასთან ბოროტი ზრახვებით შეკრულმა მედროვეთა ვიწრო წრემ. ამ ვითომ მზრუნველთა ხელში დალია სული ეროვნულმა განათლებამ და მეცნიერებამ.**

თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლების მსურველთა სახით ყველაზე მეტი მოთხოვნელებაა იურიდიულ და ეკონომიკურ სპეციალობებზე. აღმოვჩნდით საწინააღმდეგო პოლუსზე. **არც სამართალი გვაქვს და არც ეკონომიკა. ევროპული სტანდარტების გაუაზრებელმა აგიტაციამ ევროპულსაც დაგვაშორა და ქართულიც დაგვავიწყა** (კვლავ უნდა გავიმეორო: ქართული საგანმანათლებლო სისტემა არსებითად ევროპული იყო, ესაჭიროებოდა მცირეოდენი მოდერნიზაცია). **სააკაშვილ-ლომაიას ბოროტი იდეების გამანადგურებელი ლახვარი თავს დაატყდა თბილისის უნივერსიტეტს, რომლის პროფესორ-მასწავლებლები მედგრად აღუდგნენ წინ ბნელეთის მოციქულთა ზრახვებს** (აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებული მაქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია და საუბარს ამის შესახებ არ გავაგრძელებ). დავმარცხდით. გამარჯვებულებმა ისე გარდაქმნეს უნივერსიტეტი, რომ იმ პირებსაც კი, რომლებიც ნაცისტების მხარეს იდგნენ, დაწუნებული და უარყოფილი სანატრელი გაუხდათ. თუმცა აქტიურმა ნაცისტებმა (რომლებიც აწონასწორებენ მოჩვენებით სტაბილურობას) ცუდი თვალით რომ არ შეხედონ, სამარისებრივ დუმილს არჩევენ, რათა მდგომარეობა შეინარჩუნონ.

ოდესღაც აქტიური პირების შეძახილები ჩაქრა, ნაცისტების მრისხანებით „შედრეკილ-შეშინებულები" დამუნჯებულები მიუყვებიან წუთისოფლის ეკლიან გზას, არც ერი ახსოვთ და არც ბერი.

გამრუდებული გზის გასწორების ნიშანწყალი არ ციმციმებს. ეს საჩუქარი დაუტოვა უზნეო ნაცისტების ზეობამ ქართულ სულიერებას. „რეფორმისტები" კვლავ აფრქვევენ ნაცარს, თავიანთი არსებობა რომ გაამართლონ, მაგრამ შედეგი? იერარქიის მაღალ საფეხურზე მოკალათებული ჩინოსნები უჩინოებზე ამბობენ, დროს ჩამორჩნენო. **ამქვეყნიური ნეტარებით გალაღებულთა აზრით, სამართლიანობის მოთხოვნა თურმე წარსულში დაბრუნება ყოფილა. ესეც ახალი საქართველოს ევროპულად განათლებული ხელისუფლების ბრძნული აღმოჩენაა. უმაღლესი მსაჯული იგვიანებს. როდის დაერქმევა თეთრს თეთრი და შავს შავი? იყო იმედი, რომ ჟამიანობა გადავიტანეთ. დამთავრდა? იმედი დარჩა იმედად. სახელის შეცვლით შინაარსი არ შეცვლილა. მეცნიერება და განათლება იმავე მნგრეველების კლანჭებშია მოქცეული. ხალხმა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნგრევაში, საეჭვოა ისეთივე წარმატებას მიაღწიონ შენებაში (თუმცა შენების სურვილით არც „ოცნების" რჩეულები იწუხებენ თავს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დღემდე).**

რეფორმატორებად წოდებულმა თვალთმაქცებმა კეთილშობილი სიტყვები გაცვითეს და თავდაპირველი სახე დაუკარგეს. უსახურად მირაკრაკებს ყოველდღიურობა ცრუ დაპირებების ორომტრიალში. დამარცხებული „ბედნიერი ერის" შვილები დგანან ქედმოდრეკილები, გამარჯვებული „რჩეულები" ღირსეულად ნებივრობენ ნეტარების წალკოტში. მედროვეთა ზარ-ზეიმი გრძელდება. მერამდენედ ვიმეორებ, როდის გათენდება? O tempora, o mores.



**გრანი ქავთარია,**
**პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 171

# ინფრასტრუქტურული პროექტების პირველი ეტაპი 15 სექტემბრისთვის დასრულდება

**თბილისის მერიის ორგანიზებით, დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებს გასაცნობად მედიატური გაიმართა.**



თბილისის მერმა მედიის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა და მათ ყველა პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

**„დავათვალიერეთ მსხვილი პროექტები, რომელიც ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს. ვიყავით ბარათაშვილის აღმართზე, სადაც მთლიანად იცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები. ტროტუარებზე ქვაფენილი მოეწყობა. გარე განათებები მოწესრიგდება. არსებული ბოძები შეიცვლება და ახალი სანათები დამონტაჟდება. ადგილზე უკვე მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა. ასევე, კლდის მხარეს გაკეთდა კიბე, რომლითაც როგორც ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს, ასევე ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ და პრეზიდენტის რეზიდენციასთან საფეხმავლო ბილიკით ავიდნენ. მგონია, რომ ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება თავისი გადმოსახედებით",** — აღნიშნა კახა კალაძემ.

ასევე, დედაქალაქის მერი მედიის წარმომადგენლებთან ერთად, საბურთალოს რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირზე, ჟიული შარტავას ქუჩასა და მერაბ კოსტავას ქუჩაზეც იმყოფებოდა, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

როგორც მან აღნიშნა, შარტავასა და კოსტავას ქუჩების პროექტი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოეწყობა ველობილიკი, რომელიც პეკინის ქუჩას დაუკავშირდება და ერთი დიდი წრე შეიკვრება.

კახა კალაძის განცხადებით, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის პირველი ნაწილი 15 სექტემბრისთვის დასრულდება, რომ ავტომანქანების გადაადგილებას ხელი არ შეეშალოს.

ამასთან, კახა კალაძემ მიმდინარე საგზაო სამუშაოებისგან გამოწვეული ხმაურის გამო, მოსახლეობას ბოდიში კიდევ ერთხელ მოუხადა.

მისივე თქმით, ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში, რომელიც დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს, გამწვანების მიმართულებაც გათვალისწინებული იქნება.



# მაია თოდუა: ტელესკოპები სარეაბილიტაციო შენობების სიაში არ არის

**სექტემბრიდან აბასთუმანში ობსერვატორიასთან დამაკავშირებელი საბაგიროს განახლება დაიწყება. 59 წლის წინათ გაკეთებული საბაგიროს შემოწმება ყოველდღიურად ხდება, თუმცა, ამ დროის განმავლობაში, მას რეაბილიტაცია არ ჩატარებია. საქართველოში ყველაზე დიდი ობსერვატორიის რესტავრაცია კი 11 ივნისიდან დაიწყო და სამუშაოები ზუსტად ერთი წლის მერე დასრულდება.**

სამტერასიან შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება – აცხადებს რადიო „თავისუფლებასთან" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ოსერვატორიის დირექტორი მაია თოდუა.

**„დაგეგმილია, გაკეთდეს ტურისტული ცენტრი და ასტროტურიზმის ცენტრი, რომელიც განთავსდება პირველ სართულზე, მეორე სართულზე იქნება ბიბლიოთეკა, ხოლო მესამეზე – საოფისე ფართი თანამშრომლებისთვის. აბასთუმანში სულ 14 ტელესკოპია – სავარსკვლავო და სამზეო. სამწუხაროდ, ტელესკოპები სარეაბილიტაციო შენობების სიაში არ არის, არადა, ტელესკოპების განახლება უმნიშვნელოვანესია".**

ციურ სხეულებს, მზის სისტემის პლანეტებს, ვარსკვლავებს, გალაქტიკებს ქართველი და უცხოელი მეცნიერები აზეტე 11-ის სახელით ცნობილი შენობიდან აკვირდებოდნენ. თავის დროზე ის პირველი ავტომატიზებული ტელესკოპი იყო მთელს საბჭოთა კავშირში, თუმცა დღეს ობსერვატორიაში ამბობენ, რომ აბასთუმანში არსებული 14-ივე ტელესკოპი გამოცვლას საჭიროებს. ასტროფიზიკოსი და ასოცირებული მკვლევარი გივი ქიმერიძე ექვსკაციან ჯგუფთან ერთან შორეულ გალაქტიკებში შავი ხვრელების ფოტომეტრიულ გამოკვლევებს ემსახურება.

**„ტელესკოპები ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. 1936 წელს გამოშვებული 1956 წელსაა დადგმული ჩვენთან და გვიჭირს უკვე მუშაობა. გამოსაცვლელია როგორც სიდიდის, ასევე ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ტელესკოპების გარდა აუცილებელია კარგად მუშაობდეს გუმბათები, რომლებიც იცავს ატმოსფერული ნალექებისგან".**

სამტერასიან შენობას ახლა რესტავრაცია უტარდება და პროექტის მიხედვით, 2019 წელს დასრულდება. აბასთუმანში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ახალდანიშნულ გუბერნატორთან ერთად ადიგენის მერმა მოინახულა. ზაქარია ენდელაძე განმარტავს, რომ დაბა აბასთუმანში დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 18 სახლის, ობსერვატორიისა და ობსერვატორიამდე მისასვლელი საბაგირო გზის მშენებლობა და რეაბილიტაცია. სახლები მე-19, მე-20 საუკუნეებშია აგებული და იმ პერიოდის ხის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი აჟურული მორთულობებითა და ქანობიანი სახურავებით ხასიათდება.

**„შეკვეთილია საბაგირო, ევროპაში მზადდება და მალე ჩამოიტანენ. მთლიანად ხდება გამოცვლა. მნიშვნელოვანია ტელესკოპების გამოცვლა ტურისტული და სამეცნიერო მნიშვნელობით. აბასთუმნის ობსერვატორიას ბევრი საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენები გაუკეთებია და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მისი განახლება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის".**

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სამუშაოებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მათი რესტავრაცია და პირვანდელი სახით აღდგენა.

**მაია ივალაშვილი**

ბავშვის სამყარო

# სახიფათო თამაშები

**წლეულს ზაფხულში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ თამაშომანია ოფიციალურად დაავადებად აღიარა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მწვავედ დააყენა საკითხი, თუ როგორ უნდა დაადგინონ მშობლებმა, მათი შვილი ვიდეოთამაშებით მხოლოდ ძლიერად გატაცებულია, თუ ნამდვილად ამ სენით არის დაავადებული. საკითხი მით უფრო აქტუალური ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან ხდება.**



საბავშვო და საოჯახო ფსიქოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ კომპიუტერული თამაშები დიდად საინტერესო და, გარკვეულწილად, სასარგებლოც კია. ისინი ხელს უწყობენ შინაგანი დაძაბულობის განმუხტვას, აუმჯობესებენ კოორდინაციას, მეხსიერებას, რეაქციას. მაგრამ, თუკი ისინი ამ გართობას ცხოვრების მთავარ მიზნად აქცევენ, მაშინ საჭიროა განგაშის ზარების შემოკვრა!

ვიდეოთამაშებით ზედმეტად გატაცების დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში ფსიქიკური აშლილობისნაირსახეობით შეტანა შემთხვევით არ მომხდარა. ამის მიზეზი ისაა, რომ **მას ხშირად აგრესია და დეპრესია მოჰყვება (ზოგჯერ საქმე თვითმკვლელობამდეც კი მიდის!), ასევე სნეული ბავშვის ასოციალურ მოქცევას იწვევს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამ მანიას ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებაც ემატება, თანაც სენით შეპყრობილი ხშირად მატყუარა და ბაცაცა ხდება.**

მკურნალობა კომპლექსურია და როგორც მედიკამენტოზურ, ასევე ფსიქოთერაპიულ მდგენელებს მოიცავს. გარდა ამისა, ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახლობლების მხარდაჭერას.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ ინფორმაციის გაცნობისას მშობლებმა თავის პირმშოებს უმკაცრესი შეზღუდვები უნდა დაუწესონ კომპიუტერულ თამაშებზე – მედიკოსთა მონაცემებით, ამ სენით მსოფლიოში ბავშვების მხოლოდ 0,2 პროცენტია დასნეულებული. მეორე დამამშვიდებელი გარემოება ისაა, რომ თამაშებით ჭარბი გატაცება შეიძლება, დროებითი იყოს – დიაგნოზის დასასმელად ავადმყოფზე დაკვირვება ერთი წლის მანძილზეა საჭირო. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ სახიფათო შეიძლება იყოს არა მხოლოდ თამაშის სიხშირე და ინტენსივობა, არამედ მისი შინაარსიც – სისასტიკითა და ცინიზმით აღსავსე ვიდეოთამაშებს ბავშვების ცნობიერებაზე უაღრესად უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ამდენად, აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ცხადია, ოჯახში ბავშვისადმი ტაქტიან მიდგომას. **ვიდეოთამაშებით ზედმეტად გატაცების შემთხვევაში საჭირო არ არის ბავშვის დატუქსვა, დანამუსება, ინტერნეტის გათიშვა და ვიდეოთამაშების გადაგდება.** ამ დროს მისი ყურადღება რეალური სამყაროს მომხიბლაობაზე უნდა გადაიტანოთ, აგრძნობინოთ სიყვარული, პატივისცემა, მეგობრობა, აზიაროთ სპორტს, ხელოვნებას. საამისოდ კი გვარიანი გარჯა იქნება საჭირო, ბევრი თავის შეწუხებაც, მაგრამ ამის გარეშე არაფერი გამოვა.

**ოთარ ტურაბელიძე**

# ნაძალადეველ ბავშვებს – განახლებული გასართობი მოედნები

მიმდინარე წელს ნაძალადევის რაიონს ხუთი ახალი საბავშვო გასართობი მოედანი შეემატება. პროექტის ფარგლებში, ზღვის უბნის მე-4 კვარტალში, №7 კორპუსის წინ კაუჩუკის მოედანი მოეწყო და ხის ატრაქციონები დამონტაჟდა.

**„ყველა ატრაქციონი ხის მასალისგან არის დამზადებული. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, კონსტრუქციაც გამძლე და მყარია. რამდენიმე ატრაქციონის გამოყენება სპეციალური შესაძლებლობების მქონე ბავშვებს შეუძლიათ. ვცდილობთ, ჩვენი პატარებისთვის მეტი გასართობი სივრცე მოვაწყოთ. სამწუხაროდ, სკვერებში და ასეთ მოედნებზე ინფრასტრუქტურის დაზიანების ბევრი ფაქტი დაფიქსირდა. კარგი იქნება, თუ მოსახლეობაც უფრო მეტად გაუფრთხილდება გასართობ-დასასვენებელ სივრცეებს,"** – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ირაკლი ხელაძემ. ზღვის უბანში დასრულებული პროექტის გარდა, ატრაქციონების მონტაჟი კიდევ ორ მისამართზე მიმდინარეობს: ბენდელიანის ქ. №12 და ჭყონდიდელის ქ. №20ა. ასევე, უახლოეს პერიოდში კიდევ ორი ახალი საბავშვო მოედნის მოწყობა დაიწყება. ხუთივე მისამართზე შესრულებული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 85 410 ლარი გამოიყოფა.

# სექტემბრის შუა რიცხვებში უფრო მიმზიდველ ფალიაშვილის ქუჩას ვიხილავთ




**თბილისის მერიამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქუჩის რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად გაეცნო.**

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. ასევე, მოეწყობა ტროტუარები, ბორდიური, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გადასასვლელები და დამონტაჟდება ახალი, თანამედროვე განათებები. თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, პროექტის ფარგლებში, გეგეშიძის ბაღიდან კეკელიძის ქუჩამდე 1-კილომეტრიანი მონაკვეთი მოწესრიგდება.

**„ეს მონაკვეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და მისი სრული რეაბილიტაცია მოხდება. ამ ეტაპზე ქვედა ფენის მოასფალტება მიმდინარეობს. ჯერ პირველი ფენა დაიგება და შემდეგ საბოლოო ფენა. დაახლოებით 15 სექტემბრისთვის აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოები მთლიანად დასრულდება",** – განაცხადა კახა კალაძემ. კახა კალაძის თქმით, დედაქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

# კეთილმოეწყო გოძიაშვილის პარკი

**გოძიაშვილის სახელობის პარკში კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პარკის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 35 484 კვადრატული მეტრია, განთავსდება ორი საბავშვო მოედანი, საპიკნიკე სივრცეები, ჭადრაკის დეკორატიული დაფა, მოეწყობა დეკის ბილიკებით გამოყოფილი დასასვენებელი ზონები, სავარჯიშო სივრცე, საგამოფენო ღია სივრცე, მცირე ზომის ღია კინოთეატრი. ასევე, დახურული სივრცე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოსაწყობად. პარკის გარშემო საველოსიპედე ბილიკი მოეწყობა, რომელიც დაახლოებით 700 მეტრია.**

პროექტის ფარგლებში, პარკში არსებული მოსასვენებელი ინფრასტრუქტურა სრულად იცვლება და სეპარირების ურნები დამატებით განთავსდება. გარდა ამისა, მოეწყობა ცხოველების სასეირნო სპეციალური სივრცე, სარწყავი სისტემა და განათება.



ამასთან, აღნიშნულ პარკში სანიტარიული ჭრის ფარგლებში, მოიჭრება ზეხმელი ხეები, დაირგვება 15 სახეობის 462 ნერგი და 6 სახეობის 2300 ძირი ბუჩქი (ევროპული მუხა, ჩვეულებრივი იფანი; ამერიკული ნეკერჩხალი; მინდვრის ნეკერჩხალი; იტალიური ფიჭვი; უნგრული ცაცხვი; ამბრის ხე; არიზონის კვიპაროსი; არღავანი; გრძელფოთოლა იფანი; კატალპა; მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი (ლეკა); იაპონური სოფორა; ოქროსფერი ნეკერჩხალი; ლეილანდის კუპრესოციპარისი; ფოტინია; უცვეთელა; იასამანი; სურნელოვანი ოსმანთუსი; მარადმწვანე ძახველი; ტუია. ასევე, დაიგება ბალახის საფარი.





# დივერსია ქართული სპორტისა და ქვეყნის მომავლის წინაშე

(მეექვსე გვერდიდან)

ასევე მაღალი დონის სტადიონი გააქრო აჭარის „ფაშამ" ასლან აბაშიძემ ბათუმში, მეორე ცენტრალური კი სანახევროდ დაანგრია, რომელიც სააკაშვილმა შემდგომ საერთოდ გააქრო.

ეს სტადიონები ბათუმში აშენდა 1922-1930-იან წლებში. სამაგიეროდ, აჭარაში აშენებდნენ ნარკოტიკების ლაბორატორიებს, ახალგაზრდობას, მის მოსახლეობას ნარკომანიის ჭაობში ძირავდნენ.

ისევ ვისაუბრებ ნაციონალური მოძრაობის ნაბიჯებზე, დაწვრილებით გაგაცნობთ, რომელი სპორტული ობიექტები და სტადიონები იქნა დანგრეული და გაუქმებული:

**1. პირველ ეტაპზე ისინი აუქმებენ სპორტის აკადემიას, სპობენ ქართული სპორტის ისტორიას და მის წარსულს; სპორტის აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე ანგრევენ სტადიონს სავარჯიშო ბილიკებით, რომელზედაც სპორტის 10 ოლიმპიური სახეობის სპორტსმენები ვარჯიშობდნენ მრავალი წლის განმავლობაში.**

**ანგრევენ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ზომების მძლეოსნურ მანეჟს; ანგრევენ ძიუდოს, კრივის, ფარიკაობის დარბაზებს; აუქმებენ ჩოგბურთის ორ კორტს;**

**2. ავლაბარში ყიდიან და ანგრევენ ქართული არმიის შესანიშნავ სტადიონს უზარმაზარი ტერიტორიით. ქართული არმია ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც საკუთარი სტადიონი არა აქვს. რაც შეეხება ავლაბრის რეგიონს, მოუსპეს ერთადერთი სავარჯიშო ცენტრი და ახალგაზრდობა აქაც ქუჩაში აღმოჩნდა.**

**3. ყიდიან და ბაზრობის ტერიტორიად გადააქციეს თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე ძველი 35-ე საფეხბურთო სკოლის სტადიონი, ქართული ფეხბურთისა და ქართული სპორტის სამჭედლო — ვანდალებმა გააუქმეს ქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონის სავარჯიშო კომპლექსი.**

**4. ყიდიან და აუქმებენ მუშტაიდის ბაღის გვერდით მდებარე „ნორჩი დინამოელის" სტადიონს ექვს სათამაშო მოედანთან ერთად; გააქრეს თბილისის ცენტრალური უბნის კიდევ ერთი უნიკალური სავარჯიშო სტადიონი.**

**5. აუქმებენ ეროვნული სტადიონის გვერდით მდებარე სტადიონსაც, სადაც მოაწყვეს ავტოსადგომი, ხოლო ეროვნული სტადიონის ირგვლივ — საკუთარი ბაზრობა. ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ გაუქმდეს სტადიონის ირგვლივ არსებული ყველა მაღაზია, რომლებიც ამახინჯებს სიტყვა ეროვნულს.**

**6. ნახალოვკაში ყიდიან და აუქმებენ „ბერის" სტადიონს და მის გარეშე ტოვებენ ამ უბნის ახალგაზრდა თაობებსაც.**

**7. დიდუბეში ყიდიან და აუქმებენ ცნობილ „სუკონის" სტადიონს — კიდევ ერთი მჭიდროდ დასახლებული უბნის ერთადერთ სტადიონს, რომელიც ეკუთვნის პატარკაციშვილების ოჯახს. საჭიროა, ამ ოჯახის კლანჭებისგან დავიხსნათ ეს სტადიონი, დავუბრუნოთ ის მომავალ თაობებს და აღვუდგინოთ მას ძველი დიდება.**

**ყველამ იცოდეს, რომ სტადიონები მთელ მსოფლიოში ხელშეუხლებელია, მათი გაყიდვა სახელმწიფოს მიერ არ შეიძლება — ისინი მომავალი თაობების და მოსახლეობის გაჯანსაღებას ემსახურებიან.**

**8. გლდანში აუქმებენ, ცნობილი სპორტული სკოლა-ინტერნატის სტადიონს.**

**9. ასევე აუქმებენ „მეტროსტროის" დასახლებაში არსებულ სტადიონს.**

**10. აუქმებენ ვარკეთილში მდებარე სტადიონს, რომელსაც ეროვნული სტადიონის მსგავსი სარბენი ბილიკები ჰქონდა. ამ უბანშიც გაქრა სავარჯიშო ბაზა.**

**11. „გეპეის" სტადიონი 1 ლარად იყიდა სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ. საჭიროა, ეს სტადიონი გადაეცეს სახელმწიფოს.**

დანაშაული ჩადენილია მომავალი თაობების, ქართული სპორტის წინაშე და ფაქტები სახეზეა. ერთი ხელის მოსმით გაქრა უნიკალური სტადიონები და სპორტული ობიექტები. დამოუკიდებელი საქართველოს სამივე ხელისუფლების მმართველი ჩინოვნიკების მიერ მეტად მძიმე დანაშაულია ჩადენილი. სხვა ქვეყნებში ასეთი დივერსიის გამო ადამიანებს სათანადოდ დასჯიდნენ.

**— ხელისუფლებამ რა ნაბიჯები უნდა გადადგას?**

— საჭიროა, სახელმწიფომ მიიღოს კანონი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აკრძალავს მსგავს დივერსიას, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რათა მომავალ თაობებს შევუნახოთ და გადავცეთ დარჩენილი სტადიონები და სპორტული ობიექტები ისე, როგორც კომუნისტურმა რეჟიმმა შემოგვინახა ათეული წლების განმავლობაში.

ამ ფონზე სპორტული ფედერაციების ნდობა აღარ შეიძლება — სტადიონები, ყველა სტრატეგიული სპორტული ობიექტი სახელმწიფოს მფლობელობაში უნდა გადავიდეს, თორემ ისევ გამოჩნდებიან გადაგვარებული ქართველები.

საჭიროა შემთხვევით გადარჩენილი სტადიონების სრული აღდგენა. ამ პრობლემის გადაჭრა ლამის საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ტოლფასი იქნება.

ამას მომავალი თაობები ითხოვენ. ამას თბილისის, აჭარისა და სამეგრელოს ღირსეული სპორტული წარსული ითხოვს. ამას ის ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ითხოვენ, რომლებიც ოდესღაც ამ სპორტულ ობიექტებზე ვარჯიშობდნენ.

დაბოლოს: 20 დანგრეული სპორტული ობიექტის წარმომადგენლებს საქართველოს ხელისუფლებებთან ერთი კითხვა აქვთ:

**რა დაგიშავეთ?**

დანარჩენი სამართალდამცავებმა გაარკვიონ.

ასევე ჩამოვთვლი სტადიონებს, რომელთა აღდგენაც შეიძლება, რათა მომავალი თაობები საბოლოოდ ნარკომანებად და ლოთებად არ იქცნენ. ეს ეხება თბილისს.

**სასწრაფოდ აღსადგენია:**

**1. ძველი, 35-ე საფეხბურთო სკოლის სტადიონი 4 სავარჯიშო ბილიკით, თევდორე მღვდლის ქუჩაზე.**

**2. ნორჩი „დინამოს" სტადიონი ექვს მოედანთან ერთად, მუშტაიდის ბაღის გვერდით.**

**3. სპორტის აკადემიის უკან მდებარე სტადიონი 4 სავარჯიშო ბილიკით.**

**4. „ვარკეთილში" მდებარე სტადიონი 6 სავარჯიშო ბილიკით.**

**5. „მეტროსტროის" დასახლებაში მდებარე სტადიონი 4 სავარჯიშო ბილიკით.**

**6. „ბერის" სტადიონი „ნახალოვკაში".**

**7. „სუკონის" სტადიონი დიდუბეში 3 სავარჯიშო ბილიკით.**

**8. სპორტული სკოლა-ინტერნატის სტადიონი გლდანში.**

**9. ეროვნულის (ყოფილი „დინამოს") გვერდით მდებარე სტადიონი.**

ასაშენებელია ოლიმპიური სტატუსის მქონე სტადიონები ზუგდიდსა და ბათუმში — ორივე სტადიონს უნდა ჰქონდეს 8 (რვა) სარბენი ბილიკი, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო წესდებით. არ დაგვავიწყდეს: ისინი აჭარისა და სამეგრელოს რეგიონული ცენტრებია.

**ესაუბრა**
**შავლეგ ბერიძე**

## სუიციდი მარნეულში

**მარნეულში 17 წლის ახალგაზრდა გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მან, სავარაუდოდ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

ის გუშინ გამთენიისას ეზოში ჩამომხრჩვალი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მან წერილიც დატოვა. წინასწარი ინფორმაციით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

## ნარკორეალიზატორს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენასა და შენახვაში და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებაში ბრალდებული ა.მ. დამნაშავედ ცნო.**

ა.მ-მ შემდგომი გასაღების მიზნით გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით 8.0365 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კანაფის ფისის" შემცველი პლასტიკური ნივთიერება, საიდანაც ნაწილი, დიდი ოდენობით 1.7265 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კანაფის ფისის" შემცველი პლასტიკური ნივთიერება 2018 წლის 14 მარტს, 26 მარტს და 27 მარტს 400 აშშ დოლარის სანაცვლოდ უკანონოდ გაასაღა ნ.ს-ზე (რომელიც თანამშრომლობდა გამოძიებასთან).




სამართალდამცველებმა ა.მ. 2018 წლის 29 მარტს დააკავეს. ა.მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 4.92 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კანაფის ფისის" შემცველი პლასტიკური ნივთიერება, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 1.39 გრამი ნაროტიკული საშუალება „კანაფის ფისის" შემცველი პლასტიკური ნივთიერება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.მ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## იტალიაში ქალს სასტიკად სცემდა

**იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში ქალზე ძალადობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავეს. მოძალადე მაშინ აიყვანეს, როდესაც ის ნეაპოლის ქუჩაში ქალს სასტიკად სცემდა. ძალადობის მსხვერპლი საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაზარალებულმა ქალმა უკვე დაწერა საჩივარი, სადაც ამბობს, რომ დაკავებული მას ხშირად სცემდა და მოკვლით ემუქრებოდა.




სასამართლომ საქართველოს მოქალაქეს ერთი წლითა და 8 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ჭაოზში

# რა ევროპა, რი ევროპა



**გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ევროპა ლიგის პლეი-ოფის კენჭისყრის შემდეგ ქუთაისის „ტორპედო“ გამოტირებული გვყავდა — ჯგუფურ რაუნდში მოხვედრას ვინ ჩივის, ვნატრობდით, რაზგრადის „ლუდოგორეცთან“, რომელმაც უკანასკნელ წლებში სოფიური კლუბების ჰეგემონია დაამხო და ბულგარული ფეხბურთის ფლაგმანად იქცა, ღირსეულად გვეთამაშა და თავი არ შეგვერცხვინა, მაგრამ...**

თბილისში გამართულ პირველ შეხვედრაში, ასე თუ ისე, ტოლ-სწორად ვებრძოლეთ მეტოქეს, 0:1 დავმარცხდით და საპასუხო მატჩის წინ სასწაულის იმედად მაინც ვიყავით, მაგრამ იმან, რაც სტუმრად მოხდა, უკვე მერამდენედ დაადასტურა, რომ ჩვენი ადგილი ელიტაში კი არა, „ქ“ კლასშიც ძნელად თუ მოიძებნება.

ამჯერად მასპინძლებმა 4:0 გაიმარჯვეს და მადლიერნი უნდა ვიყოთ, მეტი რომ არ გაგვიტანეს. მართალია, შესვენებამდე რამდენჯერმა გავიფაფხურეთ, მაგრამ ამით საერთო სავალალო სურათი არ იცვლება — მშვიდობით, ევროპა!

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილს ვერ აჩერებენ

**ნიკოლოზ ბასილაშვილი განაგრძობს სპორტული სამყაროს გაოცებას. თუ კონდიციებში და ხასიათზეა, ხომ კარგი, თუ არადა... თუმცა, წლეულს სასაყვედურო ბევრი არაფერი გვაქვს — ჰამბურგის კორტებზე მოგებული გერმანიის ღია ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი ჩინებულად ჩაება აშშ-ის ღია პირველობაში და უკვე მესამე წრეს უწია, სადაც მსოფლიო რეიტინგის 66-ე ნომერს, არგენტინელ გვიდო პელას შეხვდება, რომელმაც სამ სეტში გაანადგურა იტალიელი პაოლო ლორენცი — 7:5, 6:0, 6:2.**

სტარტზე სლოვენიელ ებდენესთან მოპოვებული გამარჯვების კვალდაკვალ ჩვენმა თანამემამულემ 2 საათსა და 54 წუთში მასპინძელი ჯეკ სოკი (განთესვით — მე-18) დაჯაბნა 4 პარტიაში — 4:6, 6:3, 6:2, 7:6.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ნიკას სტატისტიკა აღნიშნულ ბრძოლაში: 11 ეისი, 7 ორმაგი შეცდომა, 45 ვინერსი, 30 უნებლიე შეცდომა, პირველი მოწოდების სიზუსტე — 45 პროცენტი, პირველ მოწოდებაზე აღებული ქულები — 81 პროცენტი, მეორე მოწოდებაზე აღებული ქულები — 63 პროცენტი, ბრეიქ-პოინტების რეალიზაცია — 50 პროცენტი.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ფეხბურთი

# მონაკოში შეაჯამეს და...

**მაშინ, როცა ბულგარული კრახის გამო ჭირის ოფლში ვიწურებოდით, მონაკოში, გრიმალდის სასახლეში განვლილი სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა გაიმართა.**



ნომინაციის „ევროპულ ფეხბურთში ინკლუზიურობის, მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის პოპულარიზაცია“ პირველი გამარჯვებული გურამ კაშია, მოგეხსენებათ, ამერიკაში თამაშობს და მონტე-კარლოში ჩასვლა ვერ მოახერხა, რის გამოც მის ნაცვლად ჯილდო სფფ-ს თავკაცმა ლევან კობიაშვილმა ჩაიბარა.

ისე, ჩვენს თანამემამულეებს ამ ცხელ დღეებში მოუცლელობა დასჩემდათ — მოგეხსენებათ, ოკეანის გაღმა სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ვერ შეძლეს სენატორ ჯონ მაკკეინის ხსოვნისადმი უკანასკნელი პატივის მიგება საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და მთავრობის მეთაურმა, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რა ვალდებულნი იყვნენ მაშინ, როცა თვით აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არ აპირებს მასთან გამოსათხოვარ ღონისძიებებში მონაწილეობას?

2017-2018 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენად უეფა-მ 80 მწვრთნელი და 55 ჟურნალისტი გამოკითხა, რომლებმაც სამ რჩეულს — ლუკა მოდრიჩს, მოჰამედ სალაჰსა და კრიშტიანუ რონალდუს შორის უპირატესობა ამასწინანდელი მუნდიალის ხორვატ გმირს მიანიჭეს.

დასახელდა აგრეთვე ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის საუკეთესოთა კვარტეტი, რომელიც მთლიანად გათამაშების ტრიუმფატორ მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავურ შემადგენლობას წარმოადგენს:

**მეკარე — კეილორ ნავასი;**
**მცველი — სერხიო რამოსი;**
**ნახევარმცველი — ლუკა მოდრიჩი;**
**თავდამსხმელი — კრიშტიანუ რონალდუ.**

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს, მისი მონაწილენი ასე „დახარისხდნენ“:

**„ა“ ჯგუფი. „ატლეტიკო“, „დორტმუნდი“, „მონაკო“, „ბრიუგე“.**

**„ბ“ ჯგუფი. „ბარსელონა“, „ტოტენჰემი“, „ეინდჰოვენი“, „ინტერი“.**

**„გ“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენი“, „ნაპოლი“, „ლივერპული“, „ცრვენა ზვეზდა“.**

**„დ“ ჯგუფი. „ლოკომოტივი“, „პორტუ“, „შალკე“, „გალათასარაი“.**

**„ე“ ჯგუფი. „ბაიერნი“, „ბენფიკა“, „აიაქსი“, აეკი.**

**„ვ“ ჯგუფი. „სიტი“, „შახტარი, „ლიონი“, „ჰოფენჰაიმი“.**

**„ზ“ ჯგუფი. „რეალი“, „რომა“, ცსკა, „პლზენი“.**

**„თ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“, „მანჩესტერი“, „ვალენსია“, „იანგ ბოიზი“.**

**კობა კობახიძე**

64

# ქართული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი




**საჭადრაკო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, პირველი საერთაშორისო ოსტატი (1950), საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1930), საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, პროფესიით ინჟინერი, თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სკოლის ხელმძღვანელი, მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი, საქართველოს ჩემპიონი (1928), თბილისის სამგზის ჩემპიონი (1927, 1930, 1932) ვიქტორ გოგლიძე (1905-1964) თანაბარ დონეზე ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონ ემანუილ ლასკერს (1935), საკვალიფიკაციო მატჩი მოუგო მოსკოვის ოთხგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ვ. ნენაროკოვს და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა (1930). იგი პირველია ქართული სპორტის ისტორიაში, რომელმაც ჭადრაკში ეს წოდება მოიპოვა. განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა დაცვასა და კონტრშეტევებზე.**

1969-1986 წლებში თბილისმა უმასპინძლა ვ. გოგლიძის მემორიალებს — სულ შვიდი ტურნირი გაიმართა, რომელშიც მსოფლიოში ცნობილ დიდოსტატებთან ერთად ასპარეზობდნენ ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკეებიც: ნ. გაფრინდაშვილი, ბ. გურგენიძე, ე. უბილავა, ზ. აზმაიფარაშვილი, თ. გიორგაძე, გ. ზაიჩიკი, ზ. სტურუა. სწორედ ამ საერთაშორისო ტურნირზე (1970) მოიპოვა დიდოსტატის წოდება ბ. გურგენიძემ.

ქართული ჭადრაკის მოამაგენი პაოლო იაშვილი, სანდრო ყანჩელი, იაკობ ნიკოლაძე, ტიციან ტაბიძე სიამაყით ადევნებდნენ თვალყურს თავიანთი კერპის ორთაბრძოლებს.

განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბ-ნ ვიქტორს პაოლო იაშვილთან, — „ჩემი ოცნებაა ვიხილო ქართველი ოსტატი, რომელიც ჩვენი ერის მდიდარ ტრადიციებს ქვეყანას გააცნობს“ (პ. იაშვილი).

ბ-ნი ვიქტორის თამაშით აღფრთოვანებული ლეგენდარული მსოფლიო ჩემპიონი ხოსე რაულ კაპაბლანკა ამბობდა:

„ბედნიერია ერი, რომელმაც აღზარდა ისეთი მოჭადრაკე, როგორიც ვიქტორ გოგლიძეა“.

1934 წელს თბილისში გაიმართა საბჭოთა ოსტატების ტურნირი ავსტრიელი მოჭადრაკის ჰანს კმოხის მონაწილეობით, რომელშიც ბრწყინვალედ გაიმარჯვა ვ. გოგლიძემ. ბანკეტს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე დაესწრო, პაოლო თამადობდა... კმოხის სადღეგრძელო მან ფრანგულად წარმოთქვა, ბატონმა ვიქტორმა სადღეგრძელო ლექსით დაასრულა:

**...„შენ მაგარ ოსტატს**
**სახელი გაგიტანს,**
**მე ჩემი ფიქრების გაშლილი**
**კარები“;**
**...„შენ უკვე გაიგე მკაცრია**
**თბილისი**
**და თავის არჩეულს თვალს**
**არ მოაცილებს“.**

1946 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში ბ-ნმა ვიქტორმა მოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მრავალგზის პრეტენდენტი პაულ კერესი, რომლის გამო, — იგონებს ბ-ნი ვოვა (ბ-ნ ვიქტორის ვაჟიშვილი). „მამაჩემს მთელი რიგი უსიამოვნებები გადახდა. პაულ კერესი ომის დროს ოკუპირებულ ბალტიისპირეთში ერთდროულ სეანსებს ატარებდა, რომელშიც გერმანელებიც მონაწილეობდნენ. კომუნისტური რეჟიმი პოლიტიკური მოსაზრებებით არ იყო შემწყნარებელი ასეთი „აპოლიტიკური“ მოჭადრაკის მიმართ“. — ამრიგად, ბ-ნმა ვიქტორმა დიდი რისკის ფასად დაუშვა პრეცედენტი, ფართო გზა გაუხსნა ბრწყინვალე მოჭადრაკეს და ამით, ვინ იცის, რამდენი საჭადრაკო შედევრის გადარჩენას შეუწყო ხელი **(თ. შ.)**.

სტაჟიან ჭადრაკის მოყვარულებს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვთ შესანიშნავი ჟურნალისტი და მოჭადრაკე სალო ფლორი, რომელიც ბ-ნი ვიქტორის გულშემატკივარი და ახლო მეგობარი გახლდათ.

„ქართული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი“ — ასე შეაფასა სალო ფლორმა ბ-ნ ვიქტორ გოგლიძის მოღვაწეობა.

**ე. ლასკერი — ვ. გოგლიძე**
**მოსკოვი 1935**



32. ... ეძ2 33-ე სვლა თეთრებმა (გოგლიძემ) ეC3C2! ჩაიწერეს. შავების ეძ3-ს პასუხობს ეC2C3 და ყაიმი გარდაუვალია, მაგრამ ბ-ნ ვიქტორმა მეტისმეტად შეახო ხელი ეC1-ს, რაც საბედისწერო აღმოჩნდა.
33. ეC1C2? გადამწყვეტმა ე. ლასკერმა ხელები გაშალა... ასე ტრაგიკულად დასრულდა ეს თავისებური ორთაბრძოლა.

**ვ. მიკენასი — ვ. გოგლიძე**
**თბილისი 1941**



21. მe6 მh5 22. ე:g6+ fg 23. ლg6+ მg7 24. მg5 ლe3+ 25. მეფh1 ე:f4 26. ლh7+ მეფf8 27 ლh8+ მეფe7 28. ლ:g7+ მეფd8 29. ეf3 ლf2 30. მh3 ლh4 31. მეფg2 ეff8 32. მg5 ეg8
0:1 მიკენასი დანებდა.
შენიშვნა: ვლადას მიკენასი ლიტველი, ლიტვის მრავალგზის ჩემპიონი. (1945, 1948, 1964)

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

სანთელი

# ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას



საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად შეწყდა ღირსეული მამულიშვილის, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ეროვნული მეცნიერების სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ **იური ლომიძის** სიცოცხლე, რომელიც ყველასათვის მაგალითი იყო, როგორც მასწავლებელი, კაცი — ლეგენდა, შემკული ყველა უწმინდესი თვისებით.

იგი დაიბადა 1946 წლის 8 ოქტომბერს მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1964-1970 წლებში სწავლობდა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა ჰიდრავლიკური მანქანებისა და ავტომატიკის საშუალებათა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

